# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 25 ივლისი 1996 №71 (296) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრინჯაო სოსო ლიპარტელიანისგან

მერაბ რატიშვილი
საქართველოს ოლიმპიური გუნდის პრეს-ატაშე
ატლანტიდან



23 ივლისს ალმოსავლეთის სანაპიროს დროით 15 საათსა და 57 წ-უთზე, ხოლო თბილისის დროით 24 ივლისს 00 საათსა და 57 წ-უთზე დამოუკიდებელმა საქართველომ პირველი ოლიმპიური პრიზიორი შეიძინა — 25 წლის ძიუდოისტმა სოსო ლიპარტელიანმა მესამე ადგილისთვის შეხვედრაში წმინდად დაამარცხა გერმანელი შტეფან დოტი და 78 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში 26-ე ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სოსოს პირველი შერკინება კანადელ კოლინ მორგანთან ჰქონდა. თავიდან შეტევას ორივე ერიდებოდა, თუმცა ცხადი იყო, რომ ჩვენებურს ჯანიც უფრო ერჩოდა და ცოცხლადაც მოძრაობდა. ერთხანს ლიპარტელიანმა ფეხიდან სცადა მეტოქის აყვანა, მაგრამ არ გამოუვიდა. მოგვიანებით იუკო აიღო, ხოლო დამთავრებამდე 1,57 წუთით ადრე ფეხის ამოსმით იპონი დაიმსახურა.

კორეელი ჩო ინ ჩული მომდევნო მეტოქე იყო. სოსომ ტაქტიკურად გამართულად დაიწყო — ქამარში გადავლებას ცდილობდა, რითაც აზიელს მოძრაობის საშუალებას უსპობდა. ძიუდოისტები ფრთხილობდნენ, კარგად ზვერავდნენ ერთმანეთს, რის გამოც არბიტრს თითო გაფრთხილება — შიდო გამოსტყუეს. ლიპარტელიანმა კვლავ გადაულება სცადა, ჩოლი მზად დახვდა და ჩოქბჯენში ჩაიყვანა იგი. თან, კინაღამ მტკივნეულიც გაუხერხა. სწორედ მეტოქის ამ აქტიურობის გამო სოსო ჩუით გააფრთხილეს. აი, რას ამბობს ამის შესახებ თავად ლიპარტელიანი: „ამ უსამართლო და უსაფუძვლო გაფრთხილებამ ხასიათი გამიფუჭა, ნერვები ამიშალა და წონასწორობიდან გამომიყვანა. გაფრთხილებას არ ვიმსახურებდი, მაგრამ ჩემი მეტოქე კორეელი იყო და ვიცოდი, მსაჯებისგან ხელშეწყობა არ მოაკლდებოდა.“ ეს წონასწორობიდან გამოსვლა კი ძვირი დაჯდა. ჩულმა სოსოს ხელი დაუჭირა, მყისვე გარედან კისრული ჩაუდგა და წმინდად გაიმარჯვა.

ჩვენდა საბედნიეროდ, კორეელი ნახევარფინალში გავიდა და ლიპარტელიანსაც ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი მიეცა. ოღონდ, სანამ მედლამდე მივიდოდა, ოთხი შერკინება უნდა მოეგო. პირველი დაბრკოლება „ბრინჯაოს გზაზე“ მოლდოველი ოლეგ კრეცული იყო, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი. ლიპარტელიანმა ჯერ ფეხიდან აიყვანა და ვაზარი დაიმსახურა, ამას არ დასჯერდა და მსაჯმაც იპონო, დაიძახა.

არც უზბეკ ვლადიმერ შიმაკოვს დასდგომია კარგი დღე. სოსო გამუდმებით უტევდა და თავიდან ჩაჩეხვით იუკო მიითვისა. შემდეგ ჩავიდნენ ჩოქბჯენში, ჩვენმა ფალავანმა საყვარელი ფანდი იხმარა — ფეხებით ამოატრიალა მეტოქე და შებოჭვაზე დაიჭირა.

ბრაზილიელი ფრანსისკო კანტოსთან შეხვედრა კი ყველაზე მძიმე და დაძაბული გამოდგა. თავიდან ორივეს არასწორი ჩავლებისთვის შიდოები მისცეს. ლიპარტელიანმა კარგად იცოდა, რომ ბრაზილიელი ჩოქბჯენში შეუდარებლად ძლიერია, ამიტომაც ცდილობდა შეტევას. კანტო კი, პირიქით, ერთთავად ქვემოთ ჩასვლას ესწრაფვოდა, რადგანაც ლიპარტელიანის მარცხენამხრივ დგომს ვერაფერი მოუხერხა. სოსო ფეხით მუშაობდა, ერთხელ დააგდო კიდეც მეტოქე, ოღონდ ხაზგარეთ.

ზუსტად შერკინების შუაწელში ლიპარტელიანს და, საერთოდ, პირველ ქართულ ოლიმპიურ მედალს საფრთხე დაემუქრა. კანტომ ისარგებლა ქართველის შეცდომით და როგორც იქნა, ჩოქბჯენში ჩაიტყუა. ბრაზილიელი ჯერ მტკივნეულის გაკეთებას ცდილობდა, რომ არ გამოუვიდა, შებოჭვაზე გადავიდა. 7 წამის განმავლობაში ლიპარტელიანი გაუნძრევლად იწვა, მერე ხელი ამოსწია, შემოაბრუნა და ტანის მოძრაობით შებოჭვას გაექცა.



აძ გასხაცდელს ქართველი არ დაუბეჩავებია. ლიპარტელიანმა შემდეგი მისვლისთანავე ფეხიდან აიტაცა კანტო და იუკოთი დაწინაურდა. შემდეგ კი, დამთავრებამდე ზუსტად ერთი წუთით ადრე, წითელ ხაზზე დაიწყო ფეხის ამოსმა და უკვე ტატამის გარეთ ბრაზილიელი იპონზე დაანარცხა. გდება ჩაითვალა, რადგანაც ტატამზე იყო დაწყებული.

მოვიდა მესამე ადგილისთვის შეხვედრის დროც. ლიპარტელიანმა 10 წამში აწვალა გერმანელი შტეფან დოტი: ერთი ხელი საყელოში ჩაავლო, მეორე — ფეხში, უსწრაფესი „წისქვილი“ დაუტრიალა და მეტოქემ ჰაერში დიდი წრე შემოხაზა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლიპარტელიანმა მოიგო და საქართველოს ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოუპოვა.

დაჯილდოების შემდეგ იყო დოპინგ-კონტროლი. ლიპარტელიანს ორჯერ აულეს სინჯი და ორივე ანალიზმა სასურველი შედეგი უჩვენა. ექიმები გაკვირვებულები იყვნენ, ისეთი სუფთა სინჯია, ნუთუ ნორმით დაშვებულ ალმდგენ საშუალებებსაც არ იღებდიო. სოსომ კი გადმომილაპარაკა, დოპინგის გამო ერთხელ ისე დავიჩაგრე, ალმდგენ საშუალებებს კი არა, საერთოდ, რაც ასო „დ“-ზე იწყება, იმასაც აღარ ვეკარებიო. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ფალავანს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა. 1993 წლის ევროპის ჩემპიონატზე მან მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელთა დაუდევრობის გამო დოპინგ-ტესტი არ გაიარა და დასაჯეს. საბედნიეროდ, ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა, ლიპარტელიანს შრომაც დაუფასდა და უსამართლოდ დაკარგული ორი წელი ოლიმპიური მედლით აინაზღაურა.

პრეს-კონფერენციაზე უცხოელ ჟურნალისტებს დიდად არ შეუწუხებიათ ჩვენი პრიზიორი. არც გაემტყუნებათ, რადგან 78 კგ-ს ფინალი მოულოდნელად დამთავრდა (ფრანგმა ჯამალ მურამ აშკარა ფავორიტს იაპონელ ტოშიჰიკო კოგას მოუგო) და ამის გამოძიებით იყვნენ დაკავებულნი.

მე კი სოსო ოლიმპიური სოფლის გზაზე „დავკითხე“.

**— რას გრძნობთ ამ წუთში?**

— ვიცი, რომ საქართველოს ისტორიაში შევედი: პირველი ვარ, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველი ოლიმპიური მედალი მოვიპოვე. მაგრამ ეს ბოლომდე ვერ გავიაზრე. ბედნიერიც ვარ. გულგატეხილიც — კორეელთან მოგება შემეძლო, ერთ რამეს კი კარგად ვგრძნობ — დიდი დატვირთვებისგან ლვიძლი მტკივა. მაინც ექვსი შეხვედრა ჩავატარე: ხუთი წმინდად მოვიგე, ერთიც — წმინდად წავაგე.

**— კორეელ ჩულთან მოგება შეგეძლოთ, თქვით...**

— შემეძლო და მაგისთვის ადრე, მოსკოვის ტურნირზე მოგებულიც მაქვს. იმ გაფრთხილებამ გამაფუჭა...

**— ისე, ბრაზილიელ კანტოსთან შებოჭვის ბეწვზე გადაურჩით.**

— ფაქტიურად, შებოჭილი ვიყავი. შევცდი და ჩოქბჯენში ჩავყევი. მაგასთან ეგეთი რამეები არ შეიძლება, რადგან ჩოქბჯენში ისეა, როგორც თევზი წყალში. როცა მბოჭავდა, მამაჩემი გამახსენდა, კაცი დაინვალიდდა და ხეიბრად დარჩა. მამა, შენი გულისთვის ყველაფერს ვიზამ-მეთქი, შეუძახე თავს და შებოჭვიდან გავიქეცი. მერე კი რაც ვქენი, თავადაც ნახეთ.

**— მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მეტოქედ ვინ გერჩივნათ — დოტი თუ ბურა?**

— ბურა. მისი ჭიდაობა უფრო კარგად მაქვს შესწავლილი. მაგრამ ისე ვიყავი განწყობილი, რომ სულერთი იყო, ორივეს მოვუგებდი.

**— დოტთან რა ტაქტიკა გქონდა არჩეული?**

— ერთადერთი — მომეგო და მესამე ადგილი დამეკავებინა. ისე, მომენტი კარგად ვიხელთე. წამით შევნიშნე, რომ ფეხი ღიად ჰქონდა დატოვებული, ეგრევე შევუვარდი და იპონზე დავახეთქე. ძალიან კი შემეცოდა გერმანელი — როცა მილოცავდნენ, მოშორებით იდგა და ტიროდა.

**— ჰო, მაგრამ, წინაალმდეგ შემთხვევაში თქვენ იტირებდით...**

— ეგრეა. არ მეყოფა ამდენი წარუმატებლობა და ჩაგვრა?! საკმარისია, ორი წელიწადი ვილაცეების შეცდომის გამო რომ დავკარგე... ამ დოპინგისგან ისე ვარ დაშინებული, რომ შეჯიბრება დამთავრებული არ იყო, ეგრევე დოპინგ-კონტროლის ოთახის ადგილმდებარეობა ვიკითხე.

**— წონის დაკლება ხომ არ გაგჭირვებიათ?**

— ასე კარგად ცხოვრებაში არ დამიკლია. 7 კილოგრამი მქონდა ზედმეტი, მაგრამ დროც ბევრი იყო. ძალიან კარგია, ატლანტაში ადრე რომ ჩამოვედით. რაც მთავარია, დაღლილობას მოვერიე. რა დაგიმალოთ, ფიზიკურად ძალიან ძლიერი ვარ, ტექნიკაშიც არამიშავს. არადა გამძლეობა არ მყოფნიდა — ორი-სამი წუთის შემდეგ ვკვდებოდი ყოველთვის. ახლა ესაც დავძლიე.

**— ახლა მესამე ადგილისთვის სახელმწიფო პრემიას მოგცემენ — 20 ათას დოლარს. რას უზავთ ამ ფულს?**

— პირველ რიგში ბინას ვიყიდი და ცოლს მოვიყვან. თუ რამე დარჩა, რაღაცას მოვუხერხებ.

**— კეთილი, გილოცავთ ბრინჯაოს მედალს...**

— გმადლობთ, მაგრამ ჩემს მედალს უფრო ექნებოდა ფასი, დათო ხახალეიშვილს ოქრო რომ აელო. ეს რა უბედურება დაემართა, საჩემპიონო კაცმა საერთოდ ვერ იჭიდავა. თავი ვაჟკაცურად კი უჭირავს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა ნაღვლიანადაა. თვალს ვერ ვუსწორებ. აუჰ, რა ჩემპიონი დავკარგეთ!



## ჩვენც მწარედ მოგვატყუეს...

ერთი კვირის წინ იყო, პირველი წრე გავიარეთო, რომ ვხარობდით. თურმე სადა ხარ! ვაღიარებთ, ჯეროვნად არც ჩვენ გვცოდნია ქართული საკლუბო ფეხბურთის ნამდვილი „ძალა“. გუშინ ზესტაფონის „მარგვეთმა“ შეუძლებელი შეძლო და შინ 0:3 წაგებით სამარცხვინოდ გამოეთიშა უეფას თასის გათამაშებას. —

მძლეველს არ იკითხავთ?

ცნობისთვის: მალტური კლუბები 1961 წლიდან მონაწილეობენ ევროთასებზე. გუშინდლამდე ამ ქვეყნის 9 კლუბს ჯამში 102 თამაში ჰქონდა სტუმრად გამართული და მხოლოდ ორჯერ (!) მოუგია. ისიც, ცხადია, მინიმალური ანგარით (ერთხელ ჩრდილოირლანდიაში, მეორედ — ლიტვაში). ერთი ფრეც გაუხერხებიათ, 99 მატჩი კი წაუგიათ. ბურთების შეფარდება გაინტერესებთ? 23:449 ანუ მალტელთა ერთ გატანილ გოლზე მეტოქეთა 20-მდე მოდის. თავმოყვარე გუნდი გუშინ მალტელებს მეახე, „საიუბილეო“ საგარეო მარცხს აწვნევდა, „მარგვეთმა“ კი დიდი ანგარიშით (!) წააგო. აქამდე ამ პაწაწინა კუნძულის გუნდებს სულ ორჯერ ელირსათ დიდი ანგარიშით მოგებით გამოწვეული სიხარული და ორჯერვე ისლანდიის გუნდი „გაუნადგურებიათ“...

მალტა, ცოტა ადრე ფინეთი... თუმცა, გული არ გავიტეხოთ. აგერ ლუქსემბურგში 2:2 ვითამაშეთ, რაც გუშინ დილით, როგორც ერთობ სასიამოვნო ამბავი, ისე გვამცნეს. ისე, მარტო „დინამო“ რომ გადიოდეს ევროთასებზე, ყველაფერს აჯობებს — ხანდახან შესარჩევის შესარჩევიდან მაინც გავა.

### გუშინ ატლანტაში

დილიდან ბრძოლაში ჩაება ჩვენი ძიუდოისტი ვლადიმერ დგებუაძე (71 კგ). პირველ წრეში მან წმინდად დაამარცხა ბარბადოსელი პეინი, მეორე წრეში ხანტეით პორტუგალიელ ბენტეშს მოუგო, მაგრამ მერე კოკათი დამარცხდა მონღოლ ბოლდბაასთან. დგებუაძემ შემდეგი, სანუგეშო ბრძოლაც წააგო, ამჯერად იუკოთი ამერიკელ პედროსთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

აქვე გაცნობებთ გუშინ გამართული რამდენიმე მატჩის შედეგს:
კალათბურთი. კაცები. „ა“ ჯგუფი. ჩინეთი — არგენტინა 87:77. „ბ“ ჯგუფი. იუგოსლავია — კორეა 118:65
ხელბურთი. კაცები. „ა“ ჯგუფი. რუსეთი — ქუვეითი 32:20. „ბ“ ჯგუფი. საფრანგეთი — ესპანეთი 27:25

Atlanta 1996

## დღე მეოთხე
ორშაბათი 22 ივლისი

### ფარიკაობა
ვაჟები. რაპირა
1. ალესანდრო პუჩინი (იტალია)
2. ლიონელ პლიუმენელი (საფრანგეთი)
3. ფრანკ ბუადენი (საფრანგეთი)

ქალები. რაპირა
1. ლაურა ბადეა (რუმინეთი)
2. ვალენტინა ვეცალი (იტალია)
3. ჯოვანა ტრილინი (იტალია)

### ტანვარჯიში
ვაჟები. გუნდური
1. რუსეთი
2. ჩინეთი
3. უკრაინა

### ძიუდო
ვაჟები. საშუალო წონა
1. იონ კიონკი (კორეა)
2. არმენ ბაღდასაროვი (უზბეკეთი)
3. მარკო შპიტკა (გერმანია) და მარკ ჰიუცინგა (ჰოლანდია)

ქალები. საშუალო წონა
1. ჩო მინსუნი (კორეა)
2. ანეტა შჩეპანსკა (პოლონეთი)
3. ვან შანზო (ჩინეთი) და კლაუდია ცვირსი (ჰოლანდია)

### სროლა
ვაჟები. პნევმატური შაშხანა
1. არტიომ ხაჯიბეკოვი (რუსეთი) 695,7 ქულა
2. ვოლფრამ ვაიბელ-უმცროსი (ავსტრია) 695,2
3. ჟან-პიერ ამა (საფრანგეთი) 693,1

### ძალოსნობა
64 კგ
1. ნაიმ სულეიმანოღლუ (თურქეთი)
2. ვალერიოს ლეონიდისი (საბერძნეთი)
3. შაო იანგანგი (ჩინეთი)

### ცურვა
ვაჟები. 100 მ. ნებისმიერი სტილი
1. ალექსანდრ პოპოვი (რუსეთი) 48,74
2. გერი ჰოლ-უმცროსი (აშშ) 48,81
3. გუსტავო ბორჟესი (ბრაზილია) 49,02

200 მ. ბატერფლაი
1. დენის პანკრატოვი (რუსეთი) 1.56,51
2. თომ მაიჰოლი (აშშ) 1.57,44
3. სქოთ გუდმენი (ავსტრალია) 1.57,48

ქალები. 400 მ. ნებისმიერი სტილი
1. მიშელ სმითი (ირლანდია) 4.07,25
2. დაგმარ ჰაზე (გერმანია) 4.08,30
3. კირსტერ ფლიპჰუისი (ჰოლანდია) 4.08,70

100 მ. ზურგზე
1. ბეთ ბოტსფორდი (აშშ) 1.01,19
2. ვითნი ჰეჩვეთი (აშშ) 1.01,47
3. მარიანე კრილი (სამხრეთი აფრიკა) 1.02,12

4 X 100 მ ესტაფეტა. ნებისმიერი სტილი
1. აშშ (ჯენი თომსონი, ქეთრინ ფოქსი, ანჯელ მარტინო, ემი ვანდაიკენი) 3.39,29
2. ჩინეთი 3.40,48
3. გერმანია 3.41,48



ფეხბურთი. ერნან კრესპო (9, არგენტინა) და პორტუგალიელები — ვქტორ პინედა და მეკარე კოსტინია



კალათბურთი. ელენა ჟირკო (უკრაინა) და ტერეზა ედვარდსი (აშშ) ბურთისთვის ბრძოლაში იატაკზე განერთხნენ

ნომერში გამოყენებულია AP-ს, REUTERS-ის და ტელეფოტოები



ქალ ტანმოვარჯიშეთა გუნდური შეჯიბრის კულმინაცია: ამერიკელი ქერი სთრაგი დახტა, მარცხენა კოჭი მოიტეხა და გონიც დაკარგა, მაგრამ თავისიანებს მაინც გაამარჯვებინა რუსებთან



75 კგ კატეგორიაში ამერიკელმა რომი ველზმა მაგრად ბეთქა ირანელი სეფიდ დაშთიქ მოლალი



ანგოლელ ანჟელო ვიქტორინიუს თვით კარლ მელოუნთან თამაში ეღირსა



100 მეტრზე პირაღმა ცურვის ფინალი რომ მორჩა, პრიზიორთა სამეული უმალ ერთად შეიკრიბა

# აქა ქართველთა ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ რატიშვილი
ატლანტიდან



კობა გულიაშვილი

მოჭიდავეებისაგან გამიგონია, მეოთხე ადგილი იმისთანა რამაა, მაგას სჯობს, პირველივე ორი შეხვედრა წააგო და ტურნირიდან საერთოდ გამოვარდეო. არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ კობა გულიაშვილის შემხედვარეს ნაღდად ეს აზრი მოგივა თავში. როგორი საქმეა — ორ დღეში ექვსი შერკინება ჩაატარო, რაც შეგიძლია, ყველაფერი გააკეთო, თავი დადო, ბოლო ძალები გაილო და მაინც უმედლოდ დარჩე. თან მაშინ, როცა მიზნამდე სულ მილიმეტრები გაკლია, მაგრამ ცალკე მსაჯები და ცალკე ტრავმები იქამდე არ გიშვებენ.

ჯერჯერობით, ოლიმპიადაზე მსაჯობით ქართველები უკმაყოფილონი არ უნდა ვყოფილიყავით. ასე იყო იქამდე, სანამ ასპარეზობაში კობა გულიაშვილი ჩაერთვებოდა. მსაჯებისგან მისი ჩაგვრა პირველივე წრიდან დაიწყო და ფინალში გასასვლელი შეხვედრით დაგვირგვინდა. თუმცა ყველაფერზე რიგრიგობით.

სასტარტო შეხვედრაში გულიაშვილის მეტოქე საბერძნეთში გადახვეწილი სომეხი არუთიკ რუბინიანი გახლდათ. ძირითად დროში კობას მხოლოდ ტრიალი შეუფასეს ორი ქულით, დანარჩენ ფანდებზე თავი დაიბრმავეს და ვითომც არაფერი მომხდარაო, ისე სჯიდნენ. საიდან უბერავდა ქარი, ყველა კარგად ხვდებოდა: ფილას მსაჯთა კოლეგიის უფროსის მოადგილე და, ამ ორგანიზაციის ფაქტიური ავან-ჩავანი კაზარიანი ზუსტად რუბინიანივითაა — სომეხია და ისაც საბერძნეთში სახლობს. ჰოდა, თავის შვილს ხომ არ მოსჭრიდა თავს? საქმე დამატებით დრომდე მივიდა. რუბინიანი ტრიალს აკეთებდა, მაგრამ გულიაშვილმა იგი კორპუსით დახურა და კიდევ ორი ქულაც მიითვალა. შეხვედრა 4:1-ზე შეწყდა და ჩვენებურმა ამ მოგებით დაიწყო.

უზბეკი ბაჰადირ ყურბანოვი მეტად სწრაფი მოჭიდავე აღმოჩნდა. სიზანტე არც კობას სჩვევია და ამიტომაც შეხვედრა უსწრაფეს ტემპში დაიწყო. თავიდანვე უზბეკმა იყოჩაღა — ტანზე შემოხვევით და უკუგდებით ორი ქულა ჩაიწერა. მერე კობა გააფრთხილეს. ყურბანოვმა ერთქულიანი ტრიალი კი გააკეთა, მაგრამ გულიაშვილმა კონტრილეთი დაუხვედრა და თავად აილო ორი ქულა. ამით მორჩა უზბეკის ბაირამი. ქართველმა ხალიჩის კიდეზე სწრაფი მოგვერდით სამი ქული დაიმსახურა, მალე კი კისრულით — კიდევ ერთი. სხვაობა საკმარისი იყო და გულიაშვილიც ოდნავ მოდუნდა. მსაჯებმა არ აპატიეს და გაფრთხილებასთან ერთად ჩოქბჯენიც უბრძანეს. კობა გამოძვრა, მეტოქეს ზემოდან მოექცა და იქვე დაატრიალა კიდეც. ასე დაწინაურდა 10:3 და ეს ანგარიში ბოლომდეც შეინარჩუნა.

მესამე წრეში გამარჯვებას გულიაშვილი ფინალში გაყავდა და მედალსაც უნაღდებდა. მეტოქე ხელწამოსაკრავი ნაღდად არ ჰყავდა — პოლონელი ვლოდიმეჟ ზავადსკი ვინც არის, ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან. ზავაცკის სიძლიერე — სიძლიერედ, მაგრამ მსაჯების უნამუსობა — უნამუსობად. თავიდან პოლონელმა ხელები გაუთიშა გულიაშვილს, დააგდო და სამი ქულა აილო. კობა ორჯერ ჩოქბჯენში ჩააყენეს, მაგრამ ზავადსკიმ ვერაფერი მოუხერხა — მარტყოფელი ფალავანი ლომივით იბრძოდა და თავს გიორგი სააკაძისავით იცავდა. შემდეგ ზავადსკის გაფრთხილების ჯერიც დადგა და მსაჯებმაც სწორედ აქ გამოავლინეს თავის ბუნება. კობამ აქაჩა მეტოქე და მძლავრი უკუგდებით ძირს დაანარცხა. სამი ქულა გდებისთვის და დამატებით ერთი ზემოდან მოქცევისთვის თითქოს უეჭველი იყო, მაგრამ არბიტრმა ჰაერში მხოლოდ ცერა თითი აღმართა — ერთი ქულაო. არადა, დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა და გულიაშვილს სხვა არაფერი შეელოდა. საღამოს, როცა მსაჯთა კოლეგია ყველა შეხვედრის ვიდეოჩანაწერს უყურებს ხოლმე, დადგინდა, რომ გულიაშვილის გდება ნაღდად ოთხი ქულით უნდა შეფასებულიყო, მაგრამ პროტესტის შეტანას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან თუკი შეხვედრის შედეგის გასაჩივრება გსურს, დამთავრებიდან 40 წუთის შემდეგ უნდა გააკეთო ეს საქმე.

ასე იყო თუ ისე, კობამ წააგო, მაგრამ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა მაინც გააგრძელა. დამამშვიდებელი ეტაპის პირველ წრეში ჩვენებურს იმისთანა მეტოქე შეხვდა, მტერსაც არ უსურვებ — რუსი სერგეი მარტინოვი. ამ კაცმა ბარსელონაში ოლიმპიადის ფინალი რომ წააგო, იმის მერე მარცხი არ უნახავს. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია და ახლახან ევროპის ჩემპიონატიც ისე მოიგო, თვალი არ დაუხამხამებია. აი, ასეთ მოჭიდავეს შეხვდა გულიაშვილი და, გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით — გაათახსირა. ორჯერ ისე მოისროლა, გეგონება ტიკინას ევარჯიშებაო. საბოლოოდ — 7:2.

თუ ბულგარელ ივან ივანოვს სძლევდა, კობა მესამე ადგილისთვის ჭიდაობის უფლებას იღებდა. თავიდან ორივე თითოჯერ გააფრთხილეს, მაგრამ ჩოქბჯენში ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს. უფრო ქართველმა იზარალა, რადგან ნიკაპი გაუსკდა. ანალოგიური სიტუაცია ჩოქბჯენების გაცვლით კიდევ ერთხელ გამეორდა. ოღონდ თუ ბულგარელმა სასარგებლო ვერაფერი ნახა, ჩვენებურმა შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ძირითადი დროის დამთავრებამდე 12 წამით ადრე მეტოქე ხალიჩიდან აქაჩა, შემობრუნდა და შორს მოისროლა. მართალია, ივანოვი ზემოდან დარჩა, რისთვისაც ერთი ქულა მიიღო, მაგრამ კობას გდება სამქულიანი იყო და შერკინებაც ძირითად დროში დასრულდა.

მესამე ადგილსაც მეტად ძლიერი მეტოქე შეეცილა. თურქი მეჰმედ ფირინი ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონია, ხოლო სეულში მესამე იყო. პირველივე წუთზე მოხდა ის, რამაც გულიაშვილს ყველაფერი წყალში გადაუყარა: თურქი ტრიალს აკეთებდა, კობას ტანქვეშ ხელი მოჰყვა და შუათითი მოსტყდა. ექიმთა ჩარევის შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა, მაგრამ ფირინთან ჯანსაღ კაცს უჭირს ჭიდაობა, თითმოტეხილს კი მითუმეტეს გაუჭირდებოდა. კობა ტრავმას არ იმჩნევდა და თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ შეუძლებლის გაკეთება შეუძლებელია! თურქმა ორი სამქულიანი გდება შეასრულა, შუაშიც ერთი ტრიალი „ჩასვა“ და კობა უმედლოდ დაგვიტოვა. თუმცა, ჩემი აზრით, კობას მეოთხე ადგილი მედლის ტოლფასია. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ შემდეგი გვითხრა: „რაც გუნდს ვხელმძღვანელობ, არცერთ მოჭიდავეს შეჯიბრზე ტრავმა არ მიუღია. ამ ატლანტაში ვიღაცამ დაგვწყევლა თუ რა არის, ვერ გეტყვით. ჯერ იყო და, ტარიელ მელელაშვილს მხარი ამოუვარდა და პოტენციურად სამეულში მოსახვედრმა კაცმა თითქმის ვერ იჭიდავა. გულიაშვილის თითის მოტეხვა ხომ საერთოდ უბედურება იყო. მართალია, კობა უმედლოდ დაგვირჩა, მაგრამ ეს მისი ბრალი სულაც არ არის. ამ ბიჭმა იმდენი შეძლო და იმდენი გააკეთა, რომ ჩემი პატივისცემა მისადმი ათმაგად გაიზარდა.“

### კრივი
22 ივლისი
75 კგ

აკაკი კაკაურიძე — რიკარდო არენდა (ჩილე) 10:3. კაკაურიძემ პირველივე რაუნდში მოათავა საქმე. მან ორჯერ ნოკდაუნი აგემა მეტოქეს. პირველად სახეზე აფარებულ ხელებს შორის გაუტარა ძლიერი პირდაპირი დარტყმა, მეორედ კი, რაუნდის დამთავრებამდე 50 წამით ადრე, მარცხენა ჰუკი უთავაზა. მეორე რაუნდში კაკომ სხვაობა კი გაზარდა, მაგრამ ჩილელის ორი დარტყმა მაინც გაუშვა.

არენდამ მესამე რაუნდში ძალები მოიკრიბა. ერთხელ თოკებთანაც მიამწყვდია ქუთაისელი მოკრივე, მაგრამ ამან დაცვაში კარგად იმუშავა და ერთი დარტყმაც კი არ გაუშვა. ჩილელმა ბოლომდე უფრო აგრესიულად გააგრძელა ჩხუბი, მაგრამ ერთი დარტყმის მეტს ვერაფერს გამორჩა. ბრძოლის შემდეგ კაკაურიძემ თქვა: „ჩემს მეტოქეს საერთოდ არ ვიცნობდი, ამიტომ თავიდან ყველანაირი ტაქტიკა გამოვიყენე. მეორეში და, განსაკუთრებით მესამე რაუნდში დაღლამ დამრია ხელი და მაშინ მივხვდი, რომ ჩილელი ხელწამოსაკრავი სულაც არ ყოფილა.“

მაშ ასე, აკაკიმ წარმატებით აილო სტარტი და მეორე წრის შეხვედრას 26 ივლისს გამართავს ალჟირელ მოჰამედ ბაჰარისთან.

### ძიუდო
22 ივლისი
86 კგ

ჩვენი ახალგაზრდა ფალავანი გიორგი წმინდაშვილი საოლიმპიადოდ მომწიფებული ვერ აღმოჩნდა. პირველსავე წრეში ხელი მოეცარა. ბრაზილიელმა ედელმარ ზანოლმა (პარიზის წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული) დაქაჩა გიორგი, გარედან ფეხი დაუხვედრა და იუკო აულო. ამის შემდეგ ორივე შიდოთი გააფრთხილეს. წმინდაშვილი შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ზანოლს მაგარი ჯანი და გაუვალი დაცვა აღმოაჩნდა. დამთავრებამდე 15 წამით ადრე კიდევ ერთი იუკო მიითვალა. საუბედუროდ, მომდევნო წრეში თავად ზანოლი დამარცხდა გერმანელ შპიტკასთან და ჩვენს ფალავანსაც ტურნირის მიტოვება მოუხდა.

### აფროსნობა
22-23 ივლისი

აფროსანთა შეჯიბრება ატლანტიდან 500 კილომეტრში, ოკეანის სანაპიროზე, ქალაქ სავანას აკვატორიუმში მიმდინარეობს. უკვე სამი რბოლა გაიმართა. საქართველოს ეკიპაჟი გურამ ბიგანიშვილის და ვლადიმერ გრუზდევის შემადგენლობით „ვარსკვლავის“ კლასში ასპარეზობს. პირველ რბოლაში ჩვენებმა მე-13 ადგილი დაიკავეს, მეორეში — მე-10, ხოლო მესამეში — 22-ე. საერთო ჯამში ბიგანიშვილ — გრუზდევის ეკიპაჟი მე-14 ადგილზეა. სულ ამ კლასში 25 ნავი ასპარეზობს. საერთო ჯამში „ვარსკვლავის“ კლასში შეჯიბრებას ბრაზილიის გუნდი ლიდერობს, მეორე ადგილზეა აშშ, მესამეზე — ავსტრალია.

### ტანვარჯიში
20-22 ივლისი

ტანმოვარჯიშეთა ტურნირი იმისთანა ჩახლართული სისტემით მიმდინარეობს, სულ ცოტა ნიკოლაი ანდრიანოვი უნდა იყო, ყველაფერში დეტალურად რომ გაერკვე. ჩვენთვის საინტერესო ამბებს მოგახსენებთ. ილია გიორგაძემ მრავალჭიდში ჯერ აუცილებელი, ხოლო შემდეგ ნებისმიერი პროგრამით იასპარეზა. მან 111 მონაწილეს შორის 37-ე ადგილი დაიკავა. ესეც ბედია, რადგან ფინალში 36 კაცი გადის. გიორგაძე ერთი საფეხურითაც წინ რომ ყოფილიყო, მრავალჭიდის ფინალშიც იასპარეზებდა და, რაც მთავარია, ექვსივე ცალკეულ იარაღზეც მიიღებდა გამოსვლის უფლებას. გუშინ საღამომდე გიორგაძეს ჰქონდა ფინალში მოხვედრის თეორიული შანსი. ამისთვის წინა 36 მონაწილიდან რომელიმეს ასპარეზობა აღარ უნდა გაეგრძელებინა. სამწუხაროდ, არავინ დაშავებულა და არც ნებით შეუწყვეტია ვინმეს ასპარეზობა. ილიამ 37-ე ადგილით დაასრულა ოლიმპიური თამაშები.

## დღე მეხუთე
### სამშაბათი 23 ივლისი

## ფარიკაობა

ვაჟები. დაშნა. გუნდური

1. იტალია
2. რუსეთი
3. საფრანგეთი

## ტანვარჯიში

ქალები. გუნდური

1. აშშ
2. რუსეთი
3. რუმინეთი

## ძიუდო

ვაჟები. ქვესაშუალო

1. ჯამელ ბურა (საფრანგეთი)
2. ტოშიჰიკო კოგა (იაპონია)
3. სოსო ლიპარტელიანი (საქართველო) და ჩო ინჩული (კორეა)

ქალები. ქვესაშუალო

1. იუკო ემოტო (იაპონია)
2. ჰელა ვანდეკავეიე (ბელგია)
3. იუნ სუნსუკი (კორეა) და ჯენი ჰალი (ჰოლანდია)

## სროლა

ვაჟები. ნებისმიერი დამბაჩა

1. ბორის კოკორევი (რუსეთი) 666,4 (ფინალში 96,4)
2. იგორ ბასინსკი (ბელარუსი) 662,0 (97,0)
3. რობერტო დიდონა (იტალია) 661,8 (92,8)

ქალები. ორმხრივი სასანგრე სტენდი

1. ქიმ როუდე (აშშ) 141 (ფინალში 33)
2. სუზან კირმაიერი (გერმანია) 139 (34)
4. დეზირი ჰადლსთონი (ავსტრალია) 139 (36)

## ცურვა

ვაჟები. 400 მ. ნებისმიერი სტილი

1. დანიოლ ლოუდერი (ახალი ზელანდია) 3.47,97
2. პოლ პამერი (ბრიტანეთი) 3.49,00
3. დანიელ კოვალსკი (ავსტრალია) 3.49,39

100 მ. ზურგზე

1. ჯეფ რუზი (აშშ) 54,10
2. როდოლფო ფალკონ კაბრერა (კუბა) 54,98
3. ნესერ ბენტი (კუბა) 55,02

4 X 100 მ ესტაფეტა. ნებისმიერი სტილი

1. აშშ (ჯონ ოლსენი, ჯოშ დევისი, ბრედლი შემაზერი, გერი ჰოლი) 3.15,41
2. რუსეთი 3.17,06
3. გერმანია 3.17,20

ქალები. 100 მ. ბატერფლაი

1. ემი ვანდაიკენი (აშშ) 59,13
2. ლიუ ლიმინი (ჩინეთი) 59,14
3. ანჯელ მარტინო (აშშ) 59,23

200 მ. ბრასი

1. პენი ჰეინსი (სამხრეთი აფრიკა) 2.25,41
2. ამანდა ბერდი (აშშ) 2.25,75
3. აგნეშ კოვაჩი (უნგრეთი) 2.26,57

## ძალოსნობა

70 კგ

1. ჟან შუგანგი (ჩინეთი)
2. კიმ მიონნამი (ჩრდ. კორეა)
3. ატილა ფერი (უნგრეთი)

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

52 კგ

1. არმენ ნაზარიანი (სომხეთი)
2. ბრენდონ პოლსონი (აშშ)
3. ანდრეი კალაშნიკოვი (უკრაინა)

62 კგ

1. ვლოძიმეჟ ზავადსკი (პოლონეთი)
2. ხუან ლუის მარენი (კუბა)
3. მეჰმედ ფირინი (თურქეთი)

72 კგ

1. ფელიბერტო ასკუი (კუბა)
2. მარკო ასელი (ფინეთი)
3. იოზეფ ტრაჩი (პოლონეთი)

90 კგ

1. ვიაჩესლავ ოლეინიკი (უკრაინა)
2. იაცეკ ფაფინცკი (პოლონეთი)
3. მაიკ ბულმანი (გერმანია)

130 კგ

1. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი)
2. მათ ღაფარი (აშშ)
3. სერგეი მურეიკო (მოლდოვა)

## ჩოგბურთი

ვაჟები.

ოლიმპიური ტურნირის მთავარმა ფავორიტმა ანდრე აგასიმ დაძაბულ ბრძოლაში, თაი-ბრეიქებით დაამარცხა შვედი იონას ბიორკმანი 7:6, 7:6. იტალიელმა ანდრეა გაუდენციმ ესპანელ კარლოს კოსტას მოუგო 6:3, 6:2. მეორე, უფრო ძლიერმა კოსტამ, ალბერტომ კანადელი სებასტიან ლერუ დაამარცხა 7:6, 6:4. გაიმარჯვეს სხვა სახელიანმა ჩოგბურთელებმაც: ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:2, 6:4, მარკ როსე (შვეიცარია) — ჰიზამ არაზი (მაროკო) 6:2, 6:3, დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) — დავიდ პრინოსილი (გერმანია) 6:4, 2:6, 6:4. სომეხმა სარქის სარქისიანმა კანადელ დანიელ ნესტორს მოუგო 6:4, 6:4.

ქალები.

აქ უფრო მეტი სახელოვანი სპორტსმენი ასპარეზობს. მონიკა სელეშმა (აშშ) დაამარცხა ლი ჩენი (ჩინეთი) 6:0, 6:4, გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 7:5, 6:2, იანა ნოვოტნამ (ჩეხეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:4 (მეტოქემ მატჩი ვეღარ გააგრძელა), არანჩა სანჩესმა (ესპანეთი) — დომინიკ ვან როოსტი (ბელგია) 6:1, 7:5, კიმიკო დატემ (იაპონია) — დეილი რანდრიენტეფი (მადაგასკარი) 6:0, 6:1, მარტინა ჰინგისმა (შვეიცარია) — ჯოელ შედი (დომინიკელთა რესპუბლიკა) 7:5, 6:2, ნატაშა ზვერევამ (ბელარუსი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 7:5, 6:3.

## კალათბურთი

ვაჟები.

„ა" ჯგუფი. არგენტინა — ლიტვა 65:61, აშშ — ანგოლა 87:54, ხორვატია — ჩინეთი 109:78.

„ბ" ჯგუფი. საბერძნეთი — ბრაზილია 89:87, იუგოსლავია — ავსტრალია 91:68, პუერტო-რიკო — კორეა 98:86.

არგენტინელებმა დაამტკიცეს, რომ წინა ტურში ამერიკელებთან პირველი ტაიმი შემთხვევით არ უთამაშიათ კარგად და ლიტვის გუნდს ფიცხელი ბრძოლა გაუჩაღეს. მიუხედავად იმისა, რომ შუა თამაშში მათი ლიდერი მერსელიო ნიკოლა მძიმედ დაშავდა, არგენტინელებმა სამქულიანების ხარჯზე აჯობეს ლიტველებს. საბონისმა 30 ქულა მოუტანა გუნდს, მაგრამ საქმეს ვერ უშველა. ბრძოლა მეორე ადგილისთვის მოულოდნელად გამძაფრდა.

დანარჩენ ორ მატჩზე სათქმელი არაფერია: ხორვატებმაც და ამერიკელებმაც სიცილ-ხარხარში დაამარცხეს მეტოქეები.

აშშ — 2 მოგება, არგენტინა, ლიტვა, ჩინეთი 1-1, ანგოლა 0.

„ბ" ჯგუფში ცენტრალური იყო ბერძნებისა და ბრაზილიელების მატჩი. ბერძნები ეკონომუსა და ფასულასის კარგი თამაშის წყალობით მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ. ბრაზილიელებმა მხოლოდ შეხვედრის ბოლოსკენ შეამცირეს სხვაობა. მათ გუნდში კვლავ შეუდარებელი იყო ოსკარ შმიდტი — 32 ქულა.

იუგოსლავიამ მოულოდნელად ძალიან ადვილად დაამარცხა ავსტრალიის საკმაოდ ძლიერი ნაკრები.

აქ ლიდერობენ იუგოსლავები — 2 მოგება. ბრაზილია, საბერძნეთი, პუერტო-რიკო 1-1, კორეა 0.

ქალები.

„ა" ჯგუფი. ბრაზილია — რუსეთი 82:68, იაპონია — ჩინეთი 75:72, იტალია — კანადა 59:54.

ბრაზილიელებმა მსოფლიო ჩემპიონებმა მეორე შეხვედრა მოიგეს, ამ ჯერზე ერთ დროს უძლეველი რუსეთი დაამარცხეს.

იტალიელები კანადელებთან პირველ ტაიმს 10 ქულით აგებდნენ, მაგამ მეორეში პოლუნისა და არმალეტის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მატჩის ბედი შემოატრიალეს.

სიურპრიზად უნდა ჩაითვალოს ჩინელთა მარცხი მეზობელ იაპონიასთან.

ბრაზილია, იტალია — 2-2 მოგება, რუსეთი, იაპონია 1-1, კანადა, ჩინეთი 0.

„ბ" ჯგუფში ამერიკელებმა უკრაინელები გაანადგურეს და ავსტრალიელებთან ერთად ლიდერობენ.

აშშ, ავსტრალია — 2-2 მოგება, კუბა, უკრაინა 1-1, ზაირი, კორეა 0.

## ფეხბურთი

ვაჟები.

„ა" ჯგუფი. აშშ — ტუნისი 2:0, არგენტინა — პორტუგალია 1:1

არგენტინელებისა და პორტუგალიელების შეხვედრა ძალზე დაძაბული იყო. პირველ ტაიმში არგენტინელები, რომელთა რიგებში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი შამოტი, სენსინი და ორტეგა გამოდიან, საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. მანეტის გარღვევას პორტუგალიელთა საჯარიმოში დიდი არეულობა მოჰყვა, ბოლოს ბურთი ორტეგას მიუვიდა და ამანაც ულამაზესი დარტყმით მეკარისგან შორეულ მაღალ კუთხეში გაიტანა. რამდენიმე წუთში ორტეგა საჯარიმოშიც მოცელეს, მაგრამ კრესპომ პენალტი ვერ გამოიყენა. მეორე ტაიმიც არგენტინელებისა იყო, მაგრამ შეხვედრის მიწურულს პაულო ალვეშის დარტყმის შემდეგ მეკარემ ბურთი ხელებში ვერ დაიჭირა და გომეშმა ანგარიში გაათანაბრა.



არვიდას საბონისი ძალიან კი უტევდა ხუან ესპილს, მაგრამ არგენტინამ მაინც დაამარცხა ლიტვა

არგენტინა 4 ქულა (გატანილ-გაშვებული ბურთები 4:2), პორტუგალია 4 (3:1), აშშ 3 (3:3), ტუნისი 0 (0:4). აქ გადამწყვეტი იქნება პორტუგალიელთა შეხვედრა მასპინძლებთან.

„ბ" ჯგუფი. ესპანეთი — საფრანგეთი 1:1, ავსტრალია — საუდის არაბეთი 2:1.

ჯგუფი ფავორიტების შეხვედრა დრამატულად წარიმართა. პირველ ტაიმში ფრანგთა მეკარეს აღებული ბურთი ოსკარმა გააგდებინა და ისე შეაგდო, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. 37-ე მაკელელეს კუთხურიდან ჩაწოდებულს ლეგვინსკიმ თაურით უმარჯვა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში ფრანგთაგან ყველაზე აქტიური მაკელელე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი ფეხებში აებლანდა. ცოტა ხანში ესპანელებს ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცათ. ფრანგთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ოსკარმა ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ ლეტიზიმ, ვისაც გასულ ეროვნულ ჩემპიონატში სამი პენალტი აუღია, ბურთი მოიგერია. ოსკარმა მაინც გამოასწორა თავის შეცდომა და გუნდს ერთი ქულა მოუტანა.

საფრანგეთი 4 ქულა (3:1), ესპანეთი 4 (2:1), ავსტრალია 2 (2:3), საუდის არაბეთი 0 (1:3).

„გ" ჯგუფი. მექსიკა — კორეა 0:0, განა — იტალია 3:2.

იტალიელები 2-1-ს კი იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ წააგეს და ისევე, როგორც ევროპის ჩემპიონატი, ატლანტის ოლიმპიადაც სამარცხვინოდ, ჯგუფშივე დაასრულეს. აღსანიშნავია, რომ მსაჯმა საზიზღრად ჩაატარა ეს მატჩი.

მექსიკა 4 ქულა (1:0), კორეა 4 (1:0), განა 3 (3:3), იტალია 0 (2:4).

„დ" ჯგუფი. ბრაზილია — უნგრეთი 3:1. ნიგერია — იაპონია 2:0.

ბრაზილიელებმა მდგომარეობა გამოასწორეს, მაგრამ ბოლო ტურში სანერვიულო მაინც ექნებათ, რადგან ჯგუფის ლიდერს ნიგერიის ძლიერ გუნდს შეხვდებიან, იაპონელები კი ეთამაშებიან უნგრელებს, რომელთაც ასე უმოწყალოდ დაავიწყდათ ფეხბურთის თამაში.

ნიგერია 4 ქულა (3:0), ბრაზილია 3 (3:2), იაპონია 3 (1:2), უნგრეთი 0 (1:4).

ქალები.

„ა" ჯგუფი. ბრაზილია — იაპონია 2:0, ნორვეგია — გერმანია 3:2.

ბრაზილია 4 ქულა (4:2), ნორვეგია 4 (5:4), გერმანია 3 (5:5), იაპონია 0 (2:5).

„ბ" ჯგუფი. ჩინეთი — დანია 5:1, აშშ — შვედეთი 2:1

ჩინეთი 4 ქულა (7:1), აშშ 4 (5:1), შვედეთი 0 (1:4), დანია 0 (1:8).

## ბალახის ჰოკეი

ვაჟები.

„ა" ჯგუფი. ესპანეთი — პაკისტანი 3:0, ინდოეთი — გერმანია 1:1, არგენტინა — აშშ 5:2.

ესპანელებმა დაამტკიცეს, რომ პირველ ტურში ოლიმპიურ ჩემპიონებთან, გერმანელებთან გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა და ერთ დროს უძლეველი პაკისტანელები სასტიკად დაამარცხეს. ბრწყინვალედ ითამაშა ესპანელთა წითურმა თავდამსხმელმა ხავიერ არნაუ — მართალია, პენალტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ორი გოლი გაიტანა და პაკისტანელთა დაცვა აიკლო.

ესპანეთი 4 ქულა (4:0), არგენტინა 4 (6:2), პაკისტანი 2 (4:3), გერმანია 1 (1:2), ინდოეთი 1 (1:2), აშშ 0 (2:9).

„ბ" ჯგუფი. ჰოლანდია — დიდი ბრიტანეთი 2:2, მალაიზია — სამხრეთ აფრიკა 2:2, ავსტრალია — კორეა 3:2.

ამ ჯგუფში მეორე ტურიც ერთობ დაძაბული იყო. აღსანიშნავია ბრიტანელთა ფრე ჰოლანდიის ძლიერ გუნდთან.

ჰოლანდია 3 ქულა (4:2), ავსტრალია 3 (4:3), დიდი ბრიტანეთი 2 (4:4), სამხრეთ აფრიკა 2 (3:3), კორეა 1 (4:5), მალაიზია 1 (2:4).

ქალები.

„ა" ჯგუფი. II ტური. ავსტრალია — გერმანია 7:1

III ტური. ავსტრალია — გერმანია 1:0, არგენტინა — ესპანეთი 1:0.

ავსტრალია 6 ქულა (12:1), გერმანია 4 (4:2), არგენტინა 2 (2:9), ესპანეთი 0 (1:7).

„ბ" ჯგუფი. II ტური. აშშ — კორეა 3:2.

III ტური. კორეა — ჰოლანდია 3:1, დიდი ბრიტანეთი — აშშ 1:0.

კორეა 4 ქულა (10:4), აშშ 3 (4:4), დიდი ბრიტანეთი 3 (2:6), ჰოლანდია 2 (2:5)

## კეტბურთი

კუბა — ჰოლანდია 18:12, ნიკარაგუა — კორეა 8:3, ავსტრალია — იაპონია 9:6, ჰოლანდია — ავსტრალია 14:6, ნიკარაგუა — იტალია 7:2, აშშ — კორეა 7:2.

## სოფტბოლი

ჩინეთი — ავსტრალია 6:0, აშშ — პუერტო-რიკო 10:6, კანადა — ტაივანი 2:1, იაპონია — ჰოლანდია 3:0, ავსტრალია — ტაივანი 4:0, იაპონია — ჩინეთი 3:0, კანადა — პუერტო-რიკო 4:0.

## პლაჟის ფრენბურთი

ვაჟები.

ჩინეთი — ესპანეთი (პირველი გუნდი) 15:11, ესპანეთი (2) — ინდონეზია 15:7, ავსტრალია — კანადა 15:6, საფრანგეთი — ესტონეთი 15:8, იტალია — ახალი ზელანდია 15:8, გერმანია — იაპონია 15:8, კუბა — შვედეთი 15:3.

ქალები.

ინდონეზია (1) — კანადა 15:10, საფრანგეთი — მექსიკა 15:11, ავსტრალია (1) — იაპონია (1) 15:10, აშშ (1) — ჰოლანდია (1) 15:8, ბრაზილია (1) — იტალია 17:15, გერმანია — იაპონია (2) 15:8, აშშ (2) — ნორვეგია 15:8, ავსტრალია (2) — დიდი ბრიტანეთი 15:4, აშშ (3) — საფრანგეთი 15:4, ბრაზილია (2) — ინდონეზია (2) 15:2, პორტუგალია — ჰოლანდია (2) 15:8.

## ატლანტური ნაირნაირი

### ცნობისმოყვარეთათვის

ოლიმპიური დებიუტი აქვს [illegible] ბურუნდის, დომინიკას, გვინეა-ბისაუს, [illegible] სენტ კიტსა და ნევისს, სენტ ლუსიას, სანტომეს და პრინსიპს, კაბო ვერდეს (მწვანე კონცხი) და კომორის კუნძულებს.

### მთელი ქვეყანა ოლიმპიადაზე?

ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე ქვეყანათა შორის ყველაზე მცირე წყნარი ოკეანის სამხრეთით მდებარე ნაურუა. იქ, ნაურუში სულ 8 ათასი კაცი ცხოვრობს. შედარებისთვის: ოლიმპიურ სოფელში 10 ათასი სპორტსმენია. ხომ ცოტანი არიან, მაგრამ იქაურები მედლის მოპოვებას აპირებენ. ძალოსან მარკუს სტივენის იმედი აქვთ. სტივენმა ორი წლის წინ კანადაში ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე სამი მედალი მოიგო. ნაურუელებმა იმდენი ქნეს, თავიანთი მოსახლეობის 0,075 ნაწილი მიავლინეს ოლიმპიადაზე. კვლავ შედარებისთვის: იგივე რომ ჩინეთს მოეხერხებინა, ატლანტაში 800-ათასიანი დელეგაციით ჩავიდოდა. რაკიღა სიტყვა ჩინეთზე ჩამოვარდა: ერთხელ ჩინეთში ნაურუელი სპორტსმენები სასტუმროში გაჩერდნენ და იმდენი ხალხი ნახეს, თავგზა აებნათ.

### ქოქოსის მოწყვეტის ჩემპიონი

დასავლეთსამოელმა შუბის მტყორცნელმა ილოაი სუანუიმ კარგად უწყის, რომ ატლანტაში მედალს ვერ მოიპოვებს, მაგრამ მაინც უხარია, რადგან თავისი ქვეყნის პირველი ოლიმპიელი ქალია. ილოაი 17 წლისაა და აი, რას ამბობს: — მე ძლიერი სპორტული ფესვები მაქვს. დედაჩემი ყოველთვის დარბოდა, მამა კი შუბს ისვრის გადასარევად. ჩვენი სოფელი, საერთოდ, იმითაა ცნობილი, რომ ხეებს ქვას ვესვრით და ქოქოსს ვაყრევინებთ.

### კგბ-ს იდეა იმარჯვებს

ვიტალი სმირნოვი რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია, 25 წელია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია და 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი გახლდათ. მას უნდა ყველა სოფლელი გახდეს. არა, აქ ჩვეულებრივ სოფელზე არაა საუბარი, საქმე ოლიმპიურ სოფელს ეხება.

— ეს ძლიერ, ძლიერ სერიოზული პრობლემაა — თქვა სმირნოვმა. ჩვენ ერთ-ერთ ფუნდამენტურ ტრადიციას ვკნინებთ. სოკ-ის ერთ-ერთი პრინციპი ხომ ყველა სპორტსმენის ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება იყო. მე კერძოდ ატლანტას არ ვაკრიტიკებ, რადგან ყველაფერი ჯერ კიდევ სეულში დაიწყო, ბარსელონაში კი გაღვივდა, როდესაც ამერიკელ კალათბურთელთა „ოცნების გუნდი" და ზოგი სხვა ათლეტი ცალკე ცხოვრობდა. თუ ჩვენ გვეყოლება სოფელს გარეთ დაბინავებული მდიდარი სპორტსმენები, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთრივ სოფელში ცხოვრების პირობები გაუარესდება. საბოლოოდ, თამაშების დემოკრატიული პრინციპები დაზარალდება. თუ ყველა სოფელში იცხოვრებს, ვიღაც აფრიკელ ღარიბ ბიჭს საშუალება ექნება NBA-ს ვარსკვლავს შეხვდეს და უთხრას, „გაგიმარჯოს, ძმაო!" ეს კი უნიკალური იქნება. ყველა სპორტსმენი სოფელში უნდა ცხოვრობდეს, საბჭოთა დელეგაციის წევრების ცალკე დაბინავება სწორედ კგბ-ს იდეა იყო. ასეთი განცალკევება ოლიმპიადას ვნებს. რა გამოვიდა? ნუთუ კგბ-ს ძველმა ოცნებამ ახლა შეისხა ფრთები?

### ქვეყნების მონაგარი
#### ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 9 | 12 | 3 |
| რუსეთი | 9 | 5 | 2 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 |
| ჩინეთი | 4 | 5 | 3 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 3 |
| კორეა | 3 | 1 | 2 |
| თურქეთი | 3 | 0 | 1 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 |
| სამხრეთი აფრიკა | 2 | 0 | 1 |
| ახალი ზელანდია | 2 | 0 | 0 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 |
| კუბა | 1 | 4 | 2 |
| იაპონია | 1 | 2 | 0 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 5 |
| უკრაინა | 1 | 0 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 0 |
| კოსტა-რიკა | 1 | 0 | 0 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 0 |
| გერმანია | 0 | 6 | 9 |
| ბელარუსი | 0 | 3 | 1 |
| საბერძნეთი | 0 | 2 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 2 |
| შვედეთი | 0 | 1 | 1 |
| ესპანეთი | 0 | 1 | 0 |
| ავსტრია | 0 | 1 | 0 |
| დიდი ბრიტანეთი | 0 | 1 | 0 |
| ფინეთი | 0 | 1 | 0 |
| ჩრდილო კორეა | 0 | 1 | 0 |
| უზბეკეთი | 0 | 1 | 0 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 5 |
| ბულგარეთი | 0 | 0 | 4 |
| კანადა | 0 | 0 | 2 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 1 |
| საქართველო | 0 | 0 | 1 |
| მოლდოვა | 0 | 0 | 1 |

# ქე არ წააგეს?

**მარგვეთი — შლემა 0:3**

24 ივლისი. ზესტაფონი. სტადიონი „მარგვეთი"

1 ბოჭორიშვილი
3 გურიელიძე
5 ლონდაძე 2 მდლაკელიძე
4 წერეთელი
8 გეწაძე
6 ჩომახიძე 7 უკლება 10 ბერიშვილი
9 წიკლაური 11 ენდელაძე

13 მალია 9 მუსკატი
8 ბუზუტილო
7 ტერნერი 6 სან-ფურნიე
3 ბონიჩი 2 ჩანტერი
4 დიმეკი 5 ნავარო
15 პინტაკი
1 ბარი

შეცვლა: ჩომახიძე — 16 მარლიშვილი (46), წიკლაური — 13 ქებაძე(46), მალია — 14 მილერი (75)
გაფრთხილება: გეწაძე, ენდელაძე, ბონიჩი, მუსკატი, ნავარო, ლონდაძე, პინტაკი
0:1 მალია (15), 0:2 მუსკატი (48), 0:3 ტერნერი (90 პ)
მსაჯი: ლ. ფროილიხი (გერმანია)

## სტუმრები — უდანაკარგოდ

მალტელები ორშაბათს ღამით ჩამოვიდნენ საქართველოში და ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში, ანანოვების სასახლეში დაბინავდნენ. 23 ივლისს დილით ქუთაისში სალორიის „ტორპედოს" საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშეს, საღამოს კი ზესტაფონში „მარგვეთის" სტადიონზე, რადგან „ტორპედო" იმ დღეს საკონტროლო მატჩში „სამგურალს" მასპინძლობდა. „შლემა" 22 კაცით ეწვია მეტოქეს და ამ ამალაში ის ორი ფეხბურთელიც იყო, რომლებიც პირველ შეხვედრაში აკლდა. შევსება „მარგვეთმაც" მიიღო, მაგრამ ამ მატჩში რომ ვერ წაადგებოდა, ისეთი. ზესტაფონელებმა გორელი ზვიად ხორგუაშვილი დაიმატეს, თუმცა მისი განაცხადში შეყვანა ვერ მოუსწრო. „მარგვეთის" სტადიონი სტუმრებს ჩინებულ მდგომარეობაში დახვდა. იმ ორი თვის მანძილზე, რაც ჩვენს ჩემპიონატში შესვენება იყო, იმერლებს ბევრი რამის გაკეთება მოესწროთ. სარემონტო სამუშაოები უკვე ჩამთავრებული გახლდათ და ისედაც კარგ სტადიონს მთლად სასიამოვნო იერი ჰქონდა. ჟურნალისტებისთვისაც ეზრუნათ აქაურებს. კეთილმოწყობილი პრესლოჟა 40 კაცს იტევდა. რაც შეეხებათ მაყურებლებს, მათთვის შეღავათის გაწევა არ კი უცდიათ, მაგრამ ხუთლარიანი ბილეთები, რომლებიც 5 000 ცალი დაებეჭდათ, გაუსაღებელი არ უნდა დარჩენილიყო — სტადიონი პირამდე სავსე გახლდათ.

## შენი სიზმარი — შენ...

თამაშამდე „შლემა უონდერერზის" მთავარ მწვრთნელს ჯონ გალეას რომ გავესაუბრე, შემცბარი დავრჩი. მალტის მატჩის შემდეგ გალეამ რეალურად და საღად მოაზროვნე კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ამჯერად კი გამაოცა: სიზმრად ვნახე, შემდეგ წრეში გავედით და დიდი იმედი მაქვს, ნასიზმრები ამიხდებაო. გულშიც და მერეც, როცა დავშორდი, ბევრი ვიცინე: 3:1 აქვს შინ წაგებული და სტუმრად ნეტა რა შედეგზე ფიქრობს-მეთქი? თუმცა, თამაშის დასაწყისი ისეთი გამოდგა, ვინანე, მალტელს რად არ ვთხოვე, შენი სიზმარი მაჩუქე-მეთქი.

## დასაკარგიც რა ჰქონდათ

„შლემას" შემადგენლობაში წინა მატჩთან შედარებით არანაირი ცვლილება არ იყო. წაგების მიუხედავად, მათ ჩათვალეს, რომ გუნდი გადახალისებას არ საჭიროებდა და სწორადაც მოიქცნენ. აი, ზესტაფონელებმა კი ერთი იძულებითი და ერთიც შეგნებული შეცვლა განახორციელეს. მათ ძირითადი მეკარე ვეფხია გვენცაძე მოისაკლისეს, რომელსაც მალტაში მიღებული ტრავმა — ყვრიმალის ჩატეხილობა — ჯერაც არ მოშუშებია. როინ მარლიშვილს კი, რომლის თამაშითაც, ეტყობა, უკმაყოფილონი გახლდნენ, ჯაბა წიკლაური ამჯობინეს. ჩვენებურებზე ცვლილებებმა აშკარად უარყოფითად იმოქმედა. ამაზე მეტყველებს 3 უპასუხოდ გაშვებული გოლი. სამაგიეროდ, მალტელებმა გამოასწორეს წინა მატჩის შეცდომები და „მარგვეთი" უშანსოდ დატოვეს. ეს გარკვეულწილად მოსალოდნელიც იყო, რადგან სტუმრებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ — მათ, სულ მცირე, 3-ბურთიანი სხვაობით უნდა მოეგოთ, შემდეგ წრეში რომ გასულიყვნენ. ასეთი რამ კი ნებისმიერისთვის ძნელი ამოცანაა, თანაც სტუმრობისას. ამ მიზნის მიღწევაში დახმარება კი მხოლოდ მარგველებს თუ შეეძლოთ.

## შენ რას დამაკლებდი...

თამაშის დასაწყისი ჩვენებისთვის უიღბლო კი გამოდგა, მაგრამ ცუდ დასასრულს ეს ჯერ კიდევ არ მოასწავებდა. სათამაშოდ მშვენიერი, გრილი დარი იდგა და ვისაც რისი თავი ჰქონდა, ამის გამოვლენა არ უნდა გასჭირვებოდა. პირველად სტუმრებმა შეუტიეს და მე-5 წუთზევე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, თუმცა საბოლოო დარტყმა უზუსტო გამოუვიდათ და ვერ იხეირეს. მე-8 წუთზე უკლებამ სცადა მეტოქისთვის ხელის თავიდანვე მოთავება, მაგრამ მეკარე ბარი კარს ისე იცავდა, რომ გოლის გაშვებას ნამდვილად არ აპირებდა. არც მისი თანაგუნდელები ფიქრობდნენ სხვაგვარად და უფრო მეტიც — შეუპოვრად უტევდნენ მასპინძელთა კარს. მე-10 წუთზე გეწაძემ თავდამსხმელ მალიას შეჩერება აკრძალული ხერხითღა შეძლო და პირველი გაფრთხილებაც დაიმსახურა. მის მიერ წაქცეული მალტელი კი მინდვრიდან საკაცით, პლედგადაფარებული გაიყვანეს და ისე უაქიმეს, 5 წუთში სიმწარე თავად ანახა მოწინააღმდეგეს. მანამდე კი „მარგვეთის" დებიუტანტმა, ევროტურნირებზეც და საერთოდაც, მეკარე გაბრიელ ბოჭორიშვილმა სახიფათოდ დარტყმული საჯარიმო მოიგერია, 3 წუთის შემდეგ კი, ტაიმის პირველი მესამედი რომ ილეოდა, მუსკატის მიერ ჩამოწოდებულ კუთხურზე მალიას თაურს ვერაფერი მოუხერხა, რადგან ბურთი გეწაძისგან რიკოშეტით წავიდა კარში და ბადეშიც გაეხვა. სტუმრებს მთელი თავიანთი არსენალის ამოწურვა ამით არ უფიქრიათ და ტაიმის დამთავრებამდე ოთხჯერ აჭამეს შიში მასპინძლებს. თითოჯერ ლონდაძემ, გურიელიძემ და ბოჭორიშვილმა მოიგერიეს სახიფათო შეტევები, ერთხელაც ბუზუტილის მიერ დაგორებულს ნავარომ ოდნავ უზუსტოდ დაჰკრა. მთელ ამ დროში ყველაზე სახიფათო და გონივრული შეტევა მასპინძლებმა ერთადერთხელ განახორციელეს. 36-ე წუთზე ჩომახიძემ ტერნერს ბურთი თავზე გადაუგდო, მერე უკლებას ბრწყინვალე პასი მიაწოდა, მაგრამ მეკარე ბურთზე სათამაშოდ დროულად გამოვიდა და შემტევი აიძულა, გაგრძელება ენდელაძისკენ ეძებნა. წინა ჩემპიონატის ბომბარდირმა სასურველი დაბოლოება დროულად ვერ მოიფიქრა და ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან გაუშვა.

ზესტაფონელთა დანარჩენ შეტევებს წესიერი ვერ ეთქმოდა, წიკლაურის ჩაწოდებულსა თუ გეწაძის თაურს ლოგიკურად გოლი არც უნდა მოჰყოლოდა. თავისებური ლოგიკა I ტაიმის ანგარიშშიც იყო. მალტელები, თუმცკი დიდად ხეირიანად არა, მაგრამ მაინც უტევდნენ. მათი მეტოქენი კი გულხელდაკრეფილნი შესჩერებოდნენ მოწინააღმდეგეს და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. დაცვას შევეშვათ, მათ საქმე ბლომად ჰქონდათ. ნახევარმცველთაგან გეწაძის გარდა ვერავის გამოარჩევდი კაცი. ისიც სულ ჩამღა-წართმევაზე იყო გაფაციცებული და შეტევის ორგანიზებაზე ნაკლებად ფიქრობდა. ვისაც უშუალოდ ევალებოდა თამაშის დალაგება და აწყობა, ვერც ისინი გვამახსოვრებდნენ რამით თავს და ერთ ძველებურ ნათქვამს ადასტურებდნენ, ხემ რომ უთხრა ცულს: შენ რას დამაკლებდი, ტარი ჩემი ჯიშისა რომ არ გქონდესო.

## თუ არ გაუტან - გაგიტანენ

მეორე ტაიმში ზესტაფონელებმა სტუმრებს ლაღად თამაშის უფრო მეტი შანსი მისცეს და მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდნენ, მეორე გოლიც რომ გაუშვეს. ეს კი თამაშის განახლებისთანავე მოხდა. „მარგვეთის" რიგებში მომხდარმა ცვლილებამ ვერ გაამართლა. ჩომახიძის ნაცვლად შემოსული მარლიშვილი თავიდან პასიური იყო, წიკლაურის შემცვლელმა ქებაძემ კი მისი ჩაწოდება, რომელიც მცველისგან აიჭრა, კარის წინ ჩაატარა და ჩანტერს ბურთის კუთხურზე გადაგდების საშუალება მისცა. ამ ეპიზოდმა მეტოქე მაინც შეაშფოთა, ცვლილებათა მოსალოდნელი სარგებლიანობა იგრძნოსა და თავად შეუტია. 48-ე წუთზე მუსკატმა დაარტყა და ძელიდან ასხლეტით მეორე გოლი გაიტანა. ამას კვლავ ზესტაფონელთა და კვლავ ქებაძის იერიში მოჰყვა. 52-ე წუთზე ლევანმა თავით უხეიროდ დაჰკრა და კარს ააცილა, ოღონდ თუ იგი ბურთს კარგად ვერ მისწვდა და ამის შესაძლებლობაც არ ჰქონდა, ერთ წუთში უკლებამ ისეთ მომენტში წაჰბაძა თანაგუნდელს, როცა გატანაზე ძნელი აცილება იყო. 3 წუთში ბარის ენდელაძის ჯარიმის მოგერიება მოუხდა, 66-ზე კი უკლებას შეყოვნებული შეტევისა. ეს 15 წუთი მარგველთა სერიოზულ განაცხადს წააგავდა და მალტელთა მწვრთნელმა შემადგენლობა გაადახალისა. ტრავმირებულ გოლის ავტორს მალიას მილერი შეუნაცვლა და ცხადი იყო, შეტევა ისევ გააძლიერა. თუმცა მთელი ათი წუთი კვლავ მასპინძელთა შეტევების მოგერიება მოუხდა. 75-ე წუთზევე მარლიშვილის პასით ქებაძემ მაკრატელა ააცილა, ორ წუთში კი ჯარიმიდან ჩამოწოდებული. 78-ე წუთზე ლონდაძის უშორესი და უძლიერესი დარტყმა ბარიმ რის ვაი-ვაგლახით კუთხურზე მოიგერია. 83-ზე ქებაძის უხეირო დარტყმა აილო, 85-ზე კი ენდელაძეს, რომელმაც სამი მალტელი მოატყუა, დიდხანს ფიქრი არ აცალეს და მცველებმა ააცალეს ბურთი. ეს „მარგვეთის" ბოლო შეტევა იყო, ესეც გამოუყენებელი. სტუმრებმა, თითქოს განგებ აცალესო მასპინძლებს, ცოტა სული მოითქვეს და საფინიშო შტურმი მთელი ძალებით განახორციელეს. ბოლო წუთებში ორგზის მარგველთა ცენტრალურმა მცველმა წერეთელმა იმარჯვა და ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა. ბოლოსწინა წუთზე იგივეს ეცადა თავით გურიელიძეც, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ მან ხელით ითამაშა და პენალტი დანიშნა. ეს მასპინძელთა მარცხს ნიშნავდა. ტერნერმა ისევე როგორც მალტაში, 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა და თანაგუნდელებთან ერთად გამარჯვება იზეიმა. დრო რომ თითქმის აღარ რჩებოდა, ერთ წუთში კი საეჭვო იყო, ზესტაფონელებს იმის გაკეთება მოეხერხებინათ, რაც მთელ თამაშში ვერ შეძლეს.

## როდის დავიძახოთ „ჰოპ"?

პირველი მატჩების შემდეგ ჩვენი გუნდები სამშვიდობოს დავიგულეთ. ვეჭვობ, ამაში ეჭვი ვინმეს შეჰპარვოდა. არადა, „მარგვეთის" სტადიონის განახლებულმა ელექტროტაბლომ ჩვენთვის უსახელო შედეგი დააფიქსირა. თამაშმა ქომაგნი გააოგნა და იმერეთის გუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილიც და ზესტაფონის რაიონის გამგებელი ჯემალ გორგოძეც გაწბილებული დატოვა. ნათქვამი კია, რომ გადახტები, „ჰოპლა" მერე უნდა დაიძახოო, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ სტუმრად გახერხებული 3:1 საკმარისი არ აღმოჩნდებოდა?

## „ჩვენმა ტაქტიკამ გაამართლა"

მატჩის შემდეგ ზაზა ელენტის თარჯიმნობით „შლემა უონდერერზის" პრეზიდენტს რობერტ არიგოს გავესაუბრეთ: „ჩვენ არ ველოდით ასეთ წარმატებას. ეს დიდი მოულოდნელობა იყო და გახარებულები ვართ. თქვენ ინდივიდუალურად მოთამაშე კარგი ფეხბურთელები გყავთ, მაგრამ ეს გუნდი კოლექტივი არ არის. მალტაზე თქვენ გაგიღიმათ ბედმა, აქ კი ჩვენ. ჩვენი გუნდიდან ტერნერს გამოვყოფ, თქვენგან კი ბერიშვილსა და ენდელაძეს."

ჯონ გალია, „შლემას" მთავარი მწვრთნელი: „ჩვენი მიზანი მოგება იყო, კარგად მოვემზადეთ და უკეთაც ვითამაშეთ, ვიდრე მალტაში. ჩვენმა ტაქტიკამ — პრესინგით თამაშმა გაგვამარჯვებინა. ქართველებისგან უკეთეს თამაშს ველოდით. გითხარით, თამაშის წინ სიზმრად ვნახე, კენჭისყრას ვესწრებოდი, ამიხდა კიდეც. ამის შემდეგ სიზმრებს დავიჯერებ."

ნოელ ტერნერი, „შლემას" ნახევარმცველი: „თავიდან კი გაგვიჭირდა, მაგრამ პირველმა გოლმა ფრთები შეგვასხა. მოგებაში ეჭვი მაშინაც არ შემპარვია, როდესაც ზესტაფონელებმა ჩვენს კარზე შტურმი მიიტანეს. ჩვენ ჩვენი თავის გვჯეროდა."

**მერაბ მამულაშვილი**
**ზესტაფონიდან**



ბადრი ქოთოლაძე

გუშინ გაბრიელ ბოჭორიშვილს სამჯერ ნახავდით ამ დღეში

# ფრე ლუქსემბურგში

უეფას თასის წინასწარი ეტაპის საპასუხო მატჩის სათამაშოდ ლუქსემბურგს გამგზავრებული ჩვენი „დინამო" გუშინ ღამით ფრანკფურტიდან ჩამოფრინდა. მართალია, ანგარიში უკვე ვიცოდით, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, ცხელ კვალზე ზოგი რამ საინტერესო შეგვეტყო, ამიტომ აეროპორტს მივეშურეთ. თვითმფრინავი შესაშური სიზუსტით, დათქმულ დროზე, საღამოს 11 საათზე კი ჩამოფრინდა, მაგრამ ბიჭები საკმაოდ დაღლილები ჩანდნენ...

ჩვენები 22 ივლისს გაფრინდნენ. თვითმფრინავში 4 საათი მსხდარან, მერე ფრანკფურტიდან ლუქსემბურგამდე ავტობუსით 3 საათი უმგზავრიათ. გრევენმახერში დროულად კი ჩასულან, მაგრამ სასტუმროში რიგიანად დაბინავებაც ვერ მოუსწრიათ, ფეხბურთელებს სავარჯიშო ფორმები მოურგიათ და სავარჯიშოდ წასულან. სტადიონ „ოპ ფლორამდე" მისვლას ერთი საათი მონდომებია. ასე რომ, ჩვენებს სულ რვა საათი გამოუვიდათ მგზავრობა.

ალბათ ამანაც განაპირობა, რომ მეორე დღეს „დინამო" მთლად ვერ ყოფილა თამაშის იშტაზე. ლუქსემბურგელებს სტადიონის აშენება რას შეეშლებოდათ, „ოპ ფლორიც" პატარა, კოხტა სტადიონი ყოფილა, მაგრამ სათამაშო მინდვრის საფარი, მიუხედავად სისწორისა, მთლად საიმედო ვერ ყოფილა, ფეხბურთელები სირბილისას მინდვრიდან გვარიანი სიდიდის მიწის ნაგლეჯებს ჰყრიდნენ თურმე.

ახლა თავად თამაშზე. მატჩი დაწყებულა თუ არა, „გრევენმახერს" ისეთი უხეშობა გაუჩაღებია, მტრისას. ფეხების დალურჯება დინამოელთაგან არცერთს მოჰკლებია, მაგრამ ამ მხრივ ჯამარაულისა და ყიზილაშვილისთვის უფრო „უციათ პატივი". შეხვედრის დებიუტში მასპინძლების ეს ვითომ აქტიურობა ჩვენების გულმშვიდობით და ცოტა ზედმეტი თავდაჯერებლობითაც ყოფილა გამოწვეული. როგორც მოთამაშეებმა თქვეს, გაგვიტანდნენ, გაგვაბრაზებდნენ და ჩვენც მერე შევუგდებდით საქმესო. აშკარაა, თბილისში 0:4 წაგების მერე „გრევენმახერი" ნამდვილად არ ჩანდა ის გუნდი, „დინამოს" რაიმე პრობლემას რომ შეუქმნიდა.

მასპინძლებს პირველი გოლი კუთხურის გათამაშების შემდეგ გაუტანიათ. ზოიძის საჯარიმოში ჩაწოდებული ჩვენს მცველებს კი მოუგერიებიათ, მაგრამ მათი თავდამსხმელის მიერ ოდნავ მახვილი კუთხიდან დარტყმული ცხრიანში გასულა. ეს იყო პირველ ტაიმში. მეორეში „დინამო" გააქტიურებულა და მეტოქე მაშინ „გამოუჭერია", როცა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნას აპირებდა. თავდამსხმელებს შექმნილი სიტუაციისთვის ზუსტად აუღიათ ალღო და მასპინძელთა მცველების ზურგსუკან არ დარჩენილან. ამ მომენტში ბურთით მაჭავარიანი ყოფილა, რომელსაც კარგად შეუნიშნავს მოედნის სიღრმიდან დაძრული კიკნაძე და პასიც არ დაუგვიანებია. მეკარესთან პირისპირ დარჩენილ კიკნაძეს კოხი მოუტყუებია და ანგარიშიც გათანაბრებულა. საერთოდაც, კიკნაძეს იმ დღეს უვარგია. ეს ალბათ იმიტომ, რომ „დინამომ", მართალია, 5-3-2 სისტემით ითამაშა, მაგრამ ჩვენი მეორე ნომერი კუდინოვი უფრო მეორე საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა, ვიდრე მცველისას და კიკნაძეც უფრო განტვირთულა. მეორე ტაიმში „გრევენმახერი" მეორედაც დაწინაურებულა. ხორვატ მსაჯს ზედ ჩვენების საჯარიმოს ხაზიდან ჯარიმა დაუნიშნავს, ლუქსემბურგელის დარტყმული ბურთი კი ზოიძის წინ უშნოდ ამხტარა და მასპინძლებიც დაწინაურებულან. ეს იყო და ეს, „გრევენმახერს" „დინამოს" კართან სახეირო მეტი აღარა შეუქმნია, თბილისელებს კი სამი-ოთხი გოლის გატანა შეეძლებიათ. მაგრამ... გოგიჩაიშვილს, „გრევენმახერის" თბილისში გოლი რომ შეუგდო, ზუსტად მისი ტყუპისცალი [illegible] გაუმეორებია, მეკარეც მოუტყუებია, მაგრამ დარტყმა გასცდენია. [illegible] ფიანს მოედანზე კერძევაძე, ანჩაბაძე და ინალიშვილი შეუშვია, რომელთაც გუნდის თამაში გაუაქტიურებიათ. განსაკუთრებით როინს უვაჟკაცია. ახალშესულს კიკნაძისგან ჩინებული პასი მიუღია, მცველი მოუტყუებია, მისთვის ზედ მეკარეც მიუყოლებია, სველ მინდორზე ბურთი კი გაქცევია (წვიმას ზედ თამაშის დასაწყისისთვის გადაუღია), მაგრამ პირით ხაზთან დასწევია და მოჭრილი დარტყმით ანგარიში გაუთანაბრებია. კერძევაძეს ამის მერეც ჰქონია კარგი მომენტი, მაგრამ ნაჯაფარი ქარისთვის გაუტანებია. მეკარესთან პირისპირ გასულს კოხის მთლად გაბითურება მოუნდომებია, მაგრამ ზედმეტი მოსვლია. ხელსაყრელი მომენტები მერეც გვქონია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყაიმი დაფიქსირებულა და „დინამო" შემდეგ ეტაპზე გავიდა. იცოცხლეთ, კარგი საქმეა, მაგრამ უფრო კარგი ის იქნებოდა, ჩვენებს მოეგო. ისე, „დინამო" შემდეგ წრეშიც გავიდეს და ამ ყაიმისთვის მკაცრად არ განვსჯით. არც „გრევენმახერივით" სუსტი გუნდი შეგვხვდება ალბათ და ამაზე აქედანვე საჭიროა ფიქრი...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გრევენმახერში დინამოელებს მხარდაჭერა და გულშემატკივრობა არ მოჰკლებიათ. თამაშს გერმანიაში ჩვენი ქვეყნის ელჩი კოტე გაბაშვილი დასწრებია. ლუქსემბურგში ჩასვლა არც ყოფილ დინამოელებს კახა კაჭარავას, გია გურულს, რეზო არველაძეს და ნიკა ჩხეიძეს დაუზარებიათ.

აეროპორტშივე გვსურდა, „დინამოს" მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს გავსაუბრებოდით, მაგრამ, ეტყობა, ყიფიანი ჟურნალისტებზე გულნატკენია. გვითხრა კიდეც, ინფორმაცია დაგჭირდებათ, ინებეთ ბატონო, არავის და არაფერს დაგიმალავთ, მაგრამ პრესასთან ურთიერთობაში აწი უფრო თავშეკავებული ვიქნებიო. თავშეკავება იმას არ ნიშნავს, რომ არ მოეწყობა პრეს-კონფერენციები, არ იქნება შეხვედრები, უბრალოდ, ეს ყველაფერი ოფიციალურობის ჩარჩოებში მოხდებაო, — გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა და დაგვემშვიდობა.

ლუქსემბურგიდან დაბრუნებულთ სამი კაცი არ ჩამოჰყოლიათ. კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხვალ, 26 ივლისს ჟენევაში კენჭისყრას უნდა დაესწროს, კახა გოგიჩაიშვილს და გოჩა ჯამარაულს კი 27 ივლისს ინგლისში ელიან, ისინი „საუთჰემპტონს" გაესინჯებიან. ამიტომ კახას და გოჩას თადარიგი ფრანკფურტიდანვე დაუჭერიათ. ისინი გერმანიიდან ჯერ მოსკოვში ჩაფრინდებიან საინგლისო საბუთების ასაღებად, 26-ში კი ალბიონს გაეშურებიან.

დინამოელები დღეს საღამოს ივარჯიშებენ, ზეგიდან კი სუპერთასისთვის მზადებას შეუდგებიან. ხვალ უეფას თასზე მათი მომავალი მეტოქის ვინაობაც გაირკვევა და ვნახოთ, რა იქნება...

ლუქსემბურგში „დინამომ" ამ შემადგენლობით ითამაშა:

**ზოიძე, ჩხაიძე, ლობჟანიძე, კუდინოვი, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (ინალიშვილი), ჯამარაული (ანჩაბაძე), ჯელაძე, ყიზილაშვილი, იაშვილი (კერძევაძე)**

**მამუკა კვანტალიანი**

**უეფას თასის საკვალიფიკაციო წრის კენჭისყრა ხვალ, 26 ივლისს ჟენევის „ნოგა ჰილტონ ოტელში" შედგება. მომავალ მეტოქეს „დინამო" 6 და 20 აგვისტოს ეთამაშება**

გაზეთის დაბეჭდვის მომენტისთვის მხოლოდ ამ ანგარიშების გაგება მოვასწარით

გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — დინამო (თბილისი, საქართველო) 2:2 (0:4)
მარგვეთი (ზესტაფონი, საქართველო) — შლემა უონდერერსი (მალტა) 0:3 (3:1)
ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — ჟენეს ეში (ლუქსემბურგი) 3:0 (4:2)
მურა (სლოვენია) — ბეჩეი (იუგოსლავია) 2:0 (0:0)
ხაზარი (აზერბაიჯანი) — ჰუტნიკი (კრაკოვი, პოლონეთი) 2:2 (0:9)
დინაბურგი (ლატვია) — ბერი თაუნი (უელსი) 1:2 (0:0)
პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 3:1 (1:0)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ბოჰემიანსი (ირლანდია) 0:0 (1:1)
კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) — ქალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) 2:1 (0:2)
სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — სენტ-პატრიკი (ირლანდია) 1:0 (4:3)
სკონტო (რიგა, ლატვია) — ნიუთაუნი (უელსი) 3:0 (4:1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნემსაძე „ტრაბზონსპორმა“ დაიყოლია

ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ნემსაძე გერმანიის რეგიონალური ლიგის „ჰომბურგიდან“ რომ წამოვიდა, ადრე გაცნობეთ. ისიც გაუწყეთ, რომ ჩვენებური ფეხბურთელით იტალიის „რეჯანა“ და მარსელის „ოლიმპიკი“ იყვნენ დაინტერესებულნი. შემდეგ გავრცელდა ცნობა, თითქოს ნემსაძე „დინამოში“ უნდა დაბრუნებულიყო, თავის ძველ კლუბს უეფას თასის თამაშებში შეშველებოდა და მერე კი ქინქლაძისა და ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტიში“ ეთამაშა. „დინამომ“ უეფას თასის გათამაშების წინასწარ ეტაპზე იასპარეზა, მაგრამ გიორგი „გრევენმახერის“ წინააღმდეგ სათამაშოდ ვერ გამოვიდა. — „ჰომბურგი“ ვერ შეელია და გუნდიდან მისი განთავისუფლების სერთიფიკატი არ გამოუგზავნა. მოკლედ, ნემსაძეს ახალი კლუბის პოვნა გაუჯანჯლდა. ასეთი დონის ფეხბურთელს უგუნდოდ დიდხანს რომ არავინ დატოვებდა, ცხადი იყო. ყველაზე სწრაფნი და მარჯვენი თურქები გამოდგნენ. იქაური „ტრაბზონსფორი“ გიორგით კარგა ხანია დაინტერესებული. ჰოდა, თურქებმა ისე მოახერხეს, რომ ნემსო ტრაბზონში „ჩაიტყუეს“. იქ ჩასული გიორგი თურმე „გალათასარაისთან“ გამართულ საკონტროლო მატჩში ათამაშეს. მართალია, შეხვედრა ფრედ, 1:1 დამთავრდა, მაგრამ ნემსაძე მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილა. თურქებსაც ბევრი აღარ უჭოჭმანიათ, და ფეხბურთელისთვის ერთწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებიათ. ხელშეკრულების პირობებზე ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი, მაგრამ ვიცით, რომ გიორგიმ კონტრაქტს ხელი მოაწერა. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, იგი ახალ სეზონს თურქეთში გაატარებს, ხოლო „ტრაბზონსფორისთვის“, რომელსაც უეფას თასზე ასპარეზობა ელის, გიორგი ბოლო დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება.

## ძლიერნი ამ ქვეყნისანი ფეხბურთით დაინტერესდნენ

ერთი კვირალა დარჩა მერვე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე. ჩემპიონატს ფეხბურთის ფედერაცია და პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდები წინანდელთან შედარებით უფრო მომზადებულნი ხვდებიან. მიღებულია ახალი, უფრო დახვეწილი დებულება, პირველი წრის კალენდარიც შედგენილია. დებულება და კალენდარი უკვე დაურიგდა პირველი ჯგუფის 16 გუნდს, რომელთაც ისღა დარჩენიათ, ჩემპიონატისთვის რიგიანად მოემზადონ და ფედერაციაში განაცხადი წარადგინონ, თუმცა ჯერჯერობით განაცხადით და სრულყოფილი საბუთებით სფფ-ში არავინ გამოჩენილა. მზადება კი, გაგიხარიათ, დაუწყიათ, გზადაგზა სტადიონებსაც არემონტებენ და სასურველ ფეხბურთელებსაც იმატებენ. თბილისის „დინამოს“ წინასასეზონო სამზადისზე გაზეთის წინა ნომრებში გაცნობეთ. უყურადღებოდ არც ზესტაფონის „მარგვეთი“, ფოთის „კოლხეთი“ და „ბათუმი“ დაგვიტოვებია — ეს ოთხი გუნდი ხომ ევროთასებზე თამაშობს, ამიტომ, ბუნებრივია, მზადება მათ გაცილებით ადრე დაიწყეს. მერე და მერე სხვებიც „ამოძრავდნენ“. ჩვენ ვეცდებით შეძლებისდაგვარად დანარჩენ გუნდებზეც მოგაწოდოთ ამომწურავი ინფორმაციები, ჯერჯერობით კი „სამტრედიის“, „ივერიას“, „სიონის“, „მეტალურგის“ და „დილას“ გუნდებში მომხდარი ცვლილებებით და სამზადისით შემოვიფარგლებით.

### სამტრედია

ამ გუნდში მომხდარი ცვლილებების შესახებ წინა ნომერშიც გაუწყეთ. „სამტრედია“ ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, ხოლო ძირითადი შემადგენლობიდან სამი ფეხბურთელიღა შემორჩა — მეკარე გია ჭანტურია და მცველები ვახტანგ ხვადაგიანი და პაატა ლურსმანაშვილი. სამტრედიელთა გუნდი 5 ივლისს შეუდგა ვარჯიშს. ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს მიწვეულები და მეორედან პირველ ჯგუფში ვერგადასული აბაშის „ანჯელის“ მოთამაშეები დამატებიან. შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ჯერჯერობით ფინანსურად ვერ გაიმართა წელში, თუმცა რაიონის ხელმძღვანელობა გუნდს დახმარებას ჰპირდება. რა იქნება მომავალში, არავინ იცის, ჯერჯერობით კი შევიტყვეთ, რომ რუსეთის გადახვეწილმა, აწ უკვე ყოფილმა სამტრედიელებმა ამაშუკელმა, გვასალიამ და ფანჩულიძემ ბედის საძებრად ტოლიატს მიაშურეს. მათ იქაურ „ლადაში“ გასინჯავენ. სამტრედიელებს იმედი აქვთ, რომ მათი ნახევარმცველი შოთა ჩომახიძე, რომელიც ამჟამად „მარგვეთში“ ირიცხება და ზესტაფონელებს უეფას თასის თამაშებში შველის, გათამაშებიდან გამოვარდნის შემდეგ კვლავ დაუბრუნდება თავის კლუბს. კაცი იმედით ცოცხლობს და სამტრედიელებს ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ მონდომების გარდა რომ ვერაფერი უშველით, ფაქტია.

### დილა

მეშვიდე ჩემპიონატი ისე ჩამთავრდა, გორელებს ფინანსური სიძნელეები არ გამოლევიათ. ერთი ხანობა გუნდს დაშლაც კი ემუქრებოდა, მაგრამ „დილამ“ კრიზისს გაუძლო და ჩემპიონატი სანაქებოდ თუ არა, საშუალო დონეზე მაინც ჩაატარა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა — კლუბს ახალი პრეზიდენტი დაუნიშნეს და ახალი მთავარი მწვრთნელიც ჰყავს. ამის შესახებ ადრე გაუწყეთ. ამას არ დასჯერდნენ და გუნდის უფროსის თანამდებობაზე „დილას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი მიიწვიეს. კოჭლაშვილის დაბრუნება უთუოდ სასიკეთოდ წაადგება „დილას“ საქმეს. მისასალმებელია ისიც, რომ ქალაქის და რაიონის ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, გუნდისკენ მოიხედა. გორელებს ახალი სეზონისთვის სამზადისი 17 ივლისს დაუწყიათ. ამჟამად ნიკა ამირეჯიბის ხელმძღვანელობით 23 ფეხბურთელი ვარჯიშობს. „დილას“ ძირითადი ბირთვი იგივეა — მას ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის ახალგაზრდა მოთამაშეები შეავსებენ. უეფას თასის თამაშების დამთავრების შემდეგ მათ ზესტაფონიდან მარლიშვილი და ფეზუაშვილი დაემატებიან. ჯერჯერობით არ გარკვეულა საბერძნეთს წასული ხორგუაშვილის საკითხიც. არ არის გამორიცხული, ზვიადი „დილას“ დაუბრუნდეს. როგორც კლუბის ახალმა პრეზიდენტმა გია რევაზიშვილმა გვითხრა, სტადიონის მოწესრიგებაც დაუწყიათ, იგი 1 აგვისტოს სრულ მზადყოფნაში იქნება. მოკლედ, გორელები არ ხუმრობენ და, ცხადია, თუ ასე გააგრძელებენ, „დილა“ ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ იქნება.

### ივერია

ჩემპიონატის დასაწყისი კარს იყო მომდგარი, მაგრამ ხაშურის „ივერიაში“ სრული გაურკვევლობა სუფევდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ლაცაბიძემ არც კი იცოდა, როგორი გუნდი ეყოლებოდა, ან მიიღებდა თუ არა საერთოდ „ივერია“ ჩემპიონატში მონაწილეობას. რაიონის ხელმძღვანელობასთან შეხვედრამ ყველაფერი დადებითად გადაწყვიტა და „ივერიამაც“ უმალ მიაშურა ქვიშხეთს, სადაც 17 ივლისიდან იმყოფება შეკრებაზე. გუნდში სამი ახალწვეული ჰყავთ. ორი მათგანი ახლახან დაშლილი მარნეულის „ალგეთის“ წევრია — ვოლჟსკის „ტორპედოში“ დიდი ამბით წაყვანილი და რუსული გუნდის დაშლის გამო კვლავ საქართველოში დაბრუნებული ნახევარმცველი მიხეილ კალმახელიძე და მცველი შალვა ლაცაბიძე, მესამე კი ქინვალელი თავდამსხმელი ჰამლეტ წივწივაძეა. მათ ზესტაფონიდან მობრუნებული გენადი კაციაშვილი დაემატებათ. ივერიელებს შეკრება არ აწყენთ და მაღალი ადგილისთვის ისინიც იბრძოლებენ.

### სიონი

ბოლნისელებმა გვარიანი თანხა რომ იშოვნეს და „სიონს“ სერიოზულად მიხედეს, ადრეც გვეწერა. ახლა ახალი სეზონისთვის ემზადებიან თურმე გამალებით. 22 ივლისიდან კაზრეთში შეკრება მოუწყვიათ და ახალი ფეხბურთელებიც შემატებიათ. მათი გოლკიპერი ნოდარ სიდამონიძე საბერძნეთს გაეშურა სათამაშოდ. მის ნაცვლად კლუბმა გამოცდილი გია ბაბუაძე მიიწვია. ფეხბურთის გულშემატკივრებს გია ოჩამჩირის „ამირანიდან“ და ზესტაფონის „მარგვეთიდან“ ემახსოვრებათ. მერე ბაბუაძე შეპეტოვკაში გადაბარგდა და იქაური „ტემპის“ კარს არცთუ ურიგოდ იცავდა. გიას არც მერე შეურცხვენია თავი, „ტემპი“ „ადვის-ხმელნიცკს“ რომ შეუერთდა. საბოლოოდ კი მაინც საქართველოში დაბრუნდა და ახლა „სიონს“ დაეხმარება. ბაბუაძეს ბოლნისელებმა ყოფილი გალელი ნახევარმცველი ქორთუა დაუმატეს, მერანელ მცველს დათო გოდერძიშვილს და პოლიციელთა „აკადემიის“ ნახევარმცველს, 18 წლამდე ასაკის ნაკრების წევრს ყიფიანსაც ახალი სეზონიდან „სიონში“ ვიხილავთ. რადგან ბოლნისელებს საქმე ასე კარგად წაუვიდათ, ვინძლო, რიგიანი გუნდი ჩამოაყალიბონ და სირცხვილი არ ჭამონ.

### მეტალურგი

რუსთაველთა შესახებ ძალიანაც ბევრი ვწერეთ. მართალია, ბოლო ხანს კლუბის მომავალი ძნელად განსაჭვრეტი შეიქნა, მაგრამ არ არის გამორიცხული, ცოტა ხანში ყველაფერი ისევ მოწესრიგდეს. რაც მთავარია, გუნდში რჩება მთავარი მწვრთნელი რეზო ძოძუაშვილი, თუმცა ამას ვერ ვიტყვით მიწვეულ წამყვან ფეხბურთელებზე. რუსთავი ახლა „აზოტის“ იმედადაა. ეს გუნდი კარგა ხანია ვარჯიშობს, ამიტომ სავარაუდოა, კარგად უნდა იყოს მომზადებული. სხვა ამბავია, როგორ ითამაშებენ I ჯგუფის დებიუტანტები, ეყოფათ კი გამოცდილება და კლასი ამ ჯგუფში დასარჩენად? „მეტალურგი“ ფინანსურად ვერ გახლავთ სახარბიელო მდგომარეობაში. კლუბის სპონსორები და ქალაქის ხელმძღვანელები ამ დღეებში საბოლოოდ მოილაპარაკებენ ყველაფერზე და გუნდის ბედი მაშინ გადაწყდება. ეჭვიც არავის შეპარვია, რუსთავს I ჯგუფში გუნდი რომ ეყოლებოდა, მაგრამ ახლა ის დარჩა საფიქრალსაკითხავი, როგორი იქნება ეს გუნდი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძოძუაშვილის მობრუნება ყველაფერს კალაპოტში ჩააყენებს, მაგრამ რეხვიაშვილის, ჩალაძის, ზირაქიშვილისა და სხვების კვლავ „მეტალურგში“ დაბრუნება ფრიად საეჭვოა.

**მამუკა კვანტალიანი**

## იუშკაც აღშფოთებულა

წინა „სარბიელში“ გამცნეთ, ფოთის „კოლხეთმა“ ინტერტოტოზე ბუქარესტში იქაურ „დინამოსთან“ ბოლო შეხვედრაც წაგოო, მაგრამ ამ ამბავს კომენტარი ვერ მოვაყოლეთ, რაკილა ფოთელები რუმინეთს ავტობუსით გაემგზავრნენ და გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის ჯერაც არ ჩამოსულიყვნენ. გუშინწინ „კოლხეთი“ ფოთს დაბრუნდა და ჩვენც კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ვახტანგ ხაინდრავას დავუკავშირდით. მისი თქმით, 2 500-კილომეტრიან გზას 17-ში დასდგომიან და ბუქარესტს 19 ივლისს ღამითღა ჩასულან. გუნდს არ ხლებია თავდამსხმელი ნუგზარ მიქაბერიძე, რომელსაც „გინგამთან“ მატჩისას მზის დაკვრა მიუღია და ორი დღე თავს ცუდად გრძნობდა. ფოთელებს არც მცველი გოგიტა ქუნთელია გაჰყოლიათ სათამაშოდ და არც მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია, რომელსაც ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობის გამო ამხელა მგზავრობა მეტად გაუჭირდებოდა. კოლხებს მაინც შესაშურად კარგად უთამაშიათ და რომ არა პირველივე წუთზე გაშვებული ბურთი და კიდევ გერმანელთა ისეთი არაობიექტური მსაჯობა, რამაც თვით „დინამო“ — „ზარიას“ გმირი და ფოთელთა თამაშის კომისარი ლიტველი იუშკაც კი აღაშფოთა, ჩვენები გათამაშებას უქულოდ არ დაასრულებდნენ. „კოლხეთს“ ისეთი თამაში გაუჩაღებია, რომ რუმინელ გულშემატკივართა ტაშიც დაუმსახურებია, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გაუტანია და მეორე ტაიმში თავად გაუშვიათ ერთი.

ახლა ფოთელთა საფიქრალი ეროვნული ჩემპიონატის სამზადისია. ისინი ერთ-ორ დღეში აპირებენ მთავარ მწვრთნელთან არსებული გაუგებრობის მოგვარებასა და განაცხადში შესაყვანი ფეხბურთელების დადგენას.

## «აბრეზა»

სულიკო დავითაშვილს (მეტსახელად „აბრეზას“) ახალი სეზონიდან I ჯგუფში „მერანი-91“-ის შემადგენლობაში ვიხილავთ. იგი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ, თანაც 26 გოლით აღმოსავლეთ ზონის II ჯგუფის ერთ-ერთ ბომბარდირადაც მოგვევლინა. თუმცა, სულიკოს თქმით, მეტიც შეეძლო, ტრავმა რომ არა.

— მეორე წრისთვის ნორმალურად ვერ მოვემზადე. მიზეზი კი ფეხის ტკივილი იყო. მოუმზადებელმა პირველ ხუთ ტურში საჭირო დონეზე ვერ ვითამაშე, გოლების გატანაც მიჭირდა. მერე კი ჩვეული ფორმა დავიბრუნე. ამ დროს „მერანიც“ აღმავლობას განიცდიდა და თანაგუნდელებიც ხელს მიწყობდნენ.

**— მეორე წრის დასაწყისში გუნდში უკვე ახალი მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია მუშაობდა. რა შეიცვალა „მერანში“ მისი მოსვლის შემდეგ?**

— ტაქტიკა, ვარჯიშებისადმი დამოკიდებულება. გაბელაიას „მერანის“ I ჯგუფში გადაყვანაში დიდი წვლილი მიუძღვის, ისევე როგორც ფეხბურთელებს. ჩვენ ორი წელი ვუმიზნებდით I ჯგუფს და წელს, როგორც იქნა, სურვილიც ავისრულეთ.

ახლა გუნდში ბევრი მოწვეული ფეხბურთელია და ძირითადში მოხვედრა უფრო ძნელი იქნება. მაგრამ კონკურენციის არ მეშინია. რაც უფრო დიდია კონკურენცია, მონდომებაც მეტია. მონდომების გარეშე კი I ჯგუფში ძნელია მოგებაზე ფიქრიც კი.

**— მერედა კონკურენციის შეუგუებელი ფსიქოლოგიურად არ ითრგუნები?**

— თავიდან ასეც იყო. ამის გამო ჩემით უკმაყოფილოც კი ვიყავი. თითქოს, მწვრთნელებმაც შეიცვალეს ჩემს მიმართ დამოკიდებულება.მაგრამ კონკურენციას თანდათან შევეგუე და ალბათ, I ჯგუფშიც თავს არ შევირცხვენ.

ფაქტია, რომ „მერანს“ გადახალისება სჭირდება. 4-5 ძლიერი ფეხბურთელი დიდად დაგვეხმარება. აქვე ერთსაც ვიტყვი: იმედი მაქვს, ვის ზურგზეც გადაიარა ჩემპიონატის სიმძიმემ, მათ შემადგენლობიდან არ ამოაგდებენ.

**— აკადემია რომ არ დაშლილიყო, „მერანი“ მაინც გადავიდოდა I ჯგუფში?**

— მე მგონი, ისინი ხელს ვერ შეგვიშლიდნენ. ყველაზე მეტად მაინც „დინამო-2“-ს ვუფრთხოდით.

**— ბევრი სპეციალისტისგან მსმენია — დავითაშვილი კარგი ფეხბურთელი კი არის, მაგრამ... ერთი სიტყვით, სიმაღლე, უფრო სწორად, სიდაბლე თამაშისას ხელს ხომ არ გიშლის?**

— მართალია, ტანდაბალი ვარ, მაგრამ ამით საქმეს არაფერი უშავდება. რამდენმა ჩემზე მაღალმა თავდამსხმელმა შესძლო 26 გოლის გატანა? იმას კი არ ვამბობ, რომ ვინმეზე უკეთესი ვარ, უბრალოდ, საქმის გაკეთება ჩემი სიმაღლითაც შეიძლება. მე უფრო მარჯვენა ფეხით თამაშს ვთვლი ჩემს ნაკლად. ამას თუ მოვაწესრიგებ, თამაშს ბევრად გავაუმჯობესებ. მითუმეტეს, ფიზიკურად თავს ურიგოდ არ ვგრძნობ.

**— II ჯგუფის მცველებიდან ვის გამოარჩევდი?**



— საუკეთესო შთაბეჭდილება დინამოელმა ბარქაიამ დატოვა. მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე კარგი მცველი მ ყავს „მორკინალს“ — ილურიძე. იგი მარჯვენა მცველია. მასთან ბრძოლა ძნელია, ჯანმაგარი ბიჭია და ტკიპასავით ისე მოგეკვრება, ფეხსაც არ გაგანძრევინებს. სხვათა შორის, II ჯგუფს თუ მეტ ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი წამყვანი გუნდის ხელმძღვანელები, ნამდვილად არ წააგებენ. აქ ბევრი ტალანტია, რომელთაც მოძებნა და გამოვლენა სჭირდებათ.

**— ბოლო შეკითხვაც, „აბრეზას“ რატომ გეძახიან?**

— „აბრეზა“ ჩემი ბავშვობის მწვრთნელის თემურ ლორთქიფანიძის ძმამ, თამაზმა შემარქვა. ფინეთში ბავშვთა ტურნირზე მივფრინავდით. თამაზმა მაშინ მნახა პირველად. დამინახა თუ არა, „აბრეზ“ — ასე მომმართა. ბიჭებს ეს მეტსახელი ძალიან მოეწონათ და ამის შემდეგ შემრჩა. ყველა „აბრეზას“ მეძახის. მართალია, მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, მაგრამ სულიკოს ძირჩევნია.

**მერაბ მამულაშვილი**


საქართველოს სუპერთასი!



ბათუმი
28 ივლისი
18.30
საათზე



დინამო
ბათუმი

საქართველოს თასის
ფინალისტი



დინამო
თბილისი

საქართველოს ჩემპიონი
და თასის მფლობელი

ფიფას ექსპერიმენტი
პენალტები შესრულდება თამაშის წინ!

მატჩის ორგანიზატორია
გაზეთი «რეზონანსი»
და მისი პარტნიორები:
«ალია», «7 დღე», «სარბიელი»,
«ახალი თაობა», «დრონი».

მობრძანდით ფეხბურთისა და
თავისუფალი პრესის დღესასწაულზე.

ორგკომიტეტი ტ: 23-70-65.

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### ინტერტოტოს გათამაშება. II ეტაპი. პირველი მატჩები

27-28 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლინცერი — როტორი | (2,8-1,3) | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| ლიერსი — კარლსრუე | (3,5-1,2) | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| კამაზი — გინგამი | (2,0-1,5) | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| ურალმაში — სილკებორგი | (1,5-2,0) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| სტანდარდი — ნანტი | (2,8-1,3) | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| სეგესტა — ერებრუ | (1,4-2,3) | 1,25 | 3,0 | 5,6 |

### რუსეთის ჩემპიონატი. მე-19 ტური

27 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| როსტსელმაში — ტორპედო | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ზენიტი — დინამო | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ალანია — სპარტაკი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბალტიკა — კრილია სოვეტოვი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ჩერნომორეცი — ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — ტექსტილშჩიკი | 1,15 | 3,1 | 7,0 |

ოლიმპიური თამაშების ფსონები იხილეთ ადგილზე

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

ტირაჟი №46

### ინტერტოტო და რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ლინცერი — როტორი
2. ლიერსი — კარლსრუე
3. კამაზი — გინგამი
4. ურალმაში — სილკებორგი
5. სტანდარდი — ნანტი
6. სეგესტა — ერებრუ
7. ზენიტი — დინამო
8. ალანია — სპარტაკი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფეხბურთი

## გარი ქოვენთრელი

— კარგი ფეხბურთელის დაკარგვა ყოველთვის საწყენია — თქვა „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელმა ჰოვარდ ვილკინსონმა, როცა შოტლანდიის ნაკრების კაპიტნის გარი მაკალისტერის თავისი გუნდიდან „ქოვენთრი სიტიში“ გადასვლას წინ ველარ აღუდგა. — მაკალისტერი ჩვენთან მეორე ლიგის ფეხბურთელად მოვიდა და ჩემპიონიც გახდა, ლიგის თასის ფინალშიც ითამაშა, რამდენჯერმე ევროტურნირებშიც მიიღო მონაწილეობა და კლუბის და თავისი ქვეყნის ნაკრების კაპიტანიც გახდა. ყოველივე ამაში მისი წვლილი დიდი იყო. მეტად ვწუხვარ, იგი რომ მიდის, მაგრამ შეჩერება ჩემს ძალას აღემატება.

31 წლის შოტლანდიელის ტრანსფერი კი მართლაც უცნაურია. მართალია, ამ საქმეში სამი მილიონი გირვანქა (4,66 მილიონი დოლარი) იხარჯება, მაგრამ „ქოვენთრი“ ხომ ის გუნდია, გასულ სეზონში გავარდნას ძლივს რომ გადაურჩა. სწორედ „ლიდსთან“ ბოლო ტურში შინ ნათამაშებმა უგოლო ფრემ იხსნა. თუმცა, მეორე მხრივ, „ქოვენთრის“ ბოსი რონ ატკინსონი არ მალავს იმას, რომ გუნდის გაძლიერებას აპირებს და საამისოდ 15 მილიონი ეხარჯება.

ამბობენ, მაკალისტერის გადასვლის საქმეში გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ „ლიდსის“ სამმა დირექტორმა ვერაფრით გადაწყვიტა, რომელია მათ შორის მთავარი და ამის გამო სხვა საქმეებისთვის ველარ მოიცალეს.

## ხრისტო მქვინვარებს

ბულგარულ ფეხბურთში არეულობა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო. ლანძღვა-გინების მთავარ ობიექტებად მწვრთნელი დიმიტარ პენევი და მისი ძმიშვილი ლუბო შეიქნენ. ბიძამ ლუბო ჯგუფის სამივე შეხვედრაში ათამაშა, რომელთაგან ერთში, ფრანგების წინააღმდეგ, ძმისშვილმა საკუთარ კარში გაიტანა. ატყდა ერთი ამბავი. პენევები ნაკრებიდან დაითხოვეს. ლუბომ თავის კრიტიკოსებს ტელევიზიით მკვახედ დაუტატანა. და აი, ახლა, მას მერე, რაც წინა პარასკევს ბარსელონაში თავის ძველ-ახალ გუნდთან კონტრაქტს ხელი მოაწერა, ლანძღვა-გინებაში ჩასარევად მოიცალა მთავარმა ბულგარელმა ხრისტო სტოიჩკოვმაც. იგი სოფიაში დაბრუნდა და ყველაფერი თქვა, რასაც ფიქრობდა ბულგარული ფეხბურთის ხელმძღვანელებზე. ხრისტომ მათ ფეხბურთელების გამუდმებულ მოტყუებაში დასდო ბრალი და კატეგორიულად დასძინა, თუ პენევთა დუეტს ნაკრებში არ დააბრუნებენ, მანდ აღარ ვითამაშებო. 1994 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა კიდევ ის გაიხსენა, რომ ბულგარული ფეხბურთის ბოსებს ევროპის პირველობის წინ ნაკრებისთვის ახალი, ორიგინალური ფორმა აღუთქვამთ, თუმცა პირი უტეხიათ და ჩემპიონატზე გუნდისთვის ძველი ნიფხავ-პერანგი გაუტანებიათ. ნეტავ ახლის ფული სადღა წავიდაო?

ახლა საქმე ასეა: ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ივან სლავკოვი ატლანტაშია, ოლიმპიადაზე. ხრისტოს ანჩხლობაზე პასუხის გაცემა კი სოფიაში დარჩენილ გენერალურ მდივანს ივან ვუცოვს უწევს. მან ასე თქვა: „მე ქედს ვიხრი ფეხბურთელ სტოიჩკოვის წინაშე ევროპის პირველობაზე მშვენიერი თამაშისთვის, მაგრამ თუ ის ნაკრებში ჩვენთან ერთად აღარ იქნება, სულაც არ ვიტირებთ. საერთოდაც, მწვრთნელის მოხსნა-დანიშვნა ფეხბურთელის საქმე არ არის“.

უახლოესი თამაში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ბულგარელებს 1 სექტემბერს ელით ისრაელში.

## კანტონა + პობორსკი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ უფრო გაძლიერდა: მან მოიგო ბრძოლა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირის, ჩეხი კარელ პობორესკის გადასაბირებლად. ამ ბრძოლაში მისი მთავარი მეტოქე თანამემამულე „ლივერპული“ გახლდათ. სხვათა შორის, არც პობორესკის ძველ გუნდს, ჩეხეთის ჩემპიონს პრაღის „სლავიას“ დაადგებოდა თავისი ლიდერი ყელზე, მითუფრო ახლა, ჩემპიონთა თასზე, მაგრამ 3,5 მილიონი გირვანქა ცოტა არ არის, თან თავად კარელის ჯიბეში 2 მილიონი ჩაჩხრიალდება...

## ბეიბლი მადრიდს წასულა

პრაღის „სლავიას“ მოთამაშე 24 წლის რადეკ ბეიბლი აწი ესპანეთის ჩემპიონის, მადრიდის „ატლეტიკოს“ წევრია. ეს საქმე 3,6 მილიონ მარკად ანუ 2,4 მილიონ დოლარად მოგვარდა. კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონია პრაღაში შედგა. იქ რადეკმა განაცხადა, ჩემი ყიდვა ოთხ გუნდს უნდოდა, მათ შორის ინგლისურ „ქოვენთრი სიტის“, მაგრამ ყველას „ატლეტიკო“ ვარჩიე, რადგან, ჩემი აზრით, ესპანეთის ლიგა ახლა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესიაო. შეგახსენებთ, ბეიბლი ის კაცია, ევროპის ჩემპიონატზე თვით იტალიას რომ გაუტანა გოლი. იგი მესამე ჩეხია, ესპანეთს რომ მიაშურა. მანამდე იყვნენ მეკარე პეტერ კოუბა, რომელიც „დეპორტოვო ლა კორუნიაში“ წავიდა და პაველ ჰაპალი, „ტენერიფეს“ რომ შეუერთდა.

## „ბორდოს“ ახალი სისხლი

გასულ სეზონში „ბორდომ“ სახელი დაიგდო. დაიწყო უსიმპატიო „ინტერტოტოს“ თასიდან და უეფას ფინალს მიაღწია, სადაც მიუნხენის „ბაიერნთან“ წააგო. მისი მოთამაშე ზინედინ ზიდანი საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. შემდეგ კი სეზონი დამთავრდა და გუნდი ლამის დამლაგებლიანად გაიყიდა. ზოგი სად გადავიდა, ზოგიც სად. წავიდნენ ზიდანი, დუგარი, ლიზარაზუ, ფრიც-ჰანსენი... მოკლედ, არის ჟამი გაყიდვისა და არის ჟამი ყიდვისა. ახლა ბორდოელებს მეორე დროება უდგათ. მათ ცხრა ახალი მოთამაშე უკვე შეიძინეს, და აგერ მეათეც, არგენტინელი კლაუდიო ბიაჯო, „სან ლორენსოდან“. ბიაჯომ ქვეყნის ნაკრებში ერთხელ ითამაშა, დეკემბერში ვენესუელასთან. ბოლო სამ სეზონში 46 გოლი გაიტანა. შარშან, პირველი ჩემპიონატის (იქ წელიწადში ორი ჩემპიონატია) საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იმავე პირველობაზე გუნდთან ერთად ოქროც მოიპოვა. იგი 29 წლისაა.

## ბატისტუტამ თქვა

„ფიორენტინას“ ბომბარდირმა, არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ „კორიერე დელო სპორტს“ ინტერვიუ მისცა. 27 წლის ფეხბურთელის ნათქვამთაგან საინტერესო ისაა, რომ იგი 30 ან 31 წლისა ფეხბურთისთვის უეჭველად თავის დანებებას აპირებს, თუმცა დასძინა, თუკი ფიზიკურად ბრწყინვალე ფორმაში ვიქნები, ვნახოთო. ესეც თქვენი უეჭველობა. კიდევ თქვა, საფეხბურთო სამყარო პირწმინდა ჯუნგლებია და თამაშს რომ შევეშვები, არგენტინაში დავბრუნდები, მწვრთნელობას კი გულშიც არ გავივლებო.

ბატისტუტამ არგენტინის ნაკრებში 34 გოლი გაიტანა და დიეგო მარადონას რეკორდი გაიმეორა. „ფიორენტინასთან“ ერთად, მან გასულ სეზონში იტალიის თასი მოიპოვა.

## ლიტმანენი რჩება

ჰოლანდიურმა სააგენტომ ANP-მ გაავრცელა ცნობა, რომ ფინელი იარი ლიტმანენი ამსტერდამის „აიაქსში“ რჩება. ახალი კონტრაქტი ორწლიანია. მას მომავალი სეზონის ბოლომდე შეეძლო მოცდა, მაგრამ ახლავე არჩია ნაღდი ხელშეკრულების გაფორმება.

„აიაქსი“ აგრეთვე მოლაპარაკებას აწარმოებს არგენტინელ მცველ მარიანო ხუანთან. საუბარია ხუთი წლით გადაბირებაზე. ზანგი პატრიკ ვიეირას „მილანიდან“ გადაყვანაზე კი ბოლომდე ჯერ არაფერია ცნობილი. ბოლო ცნობით, თითქმის ყველაფერი შეთანხმებული იყო.

## „გინგამს“ ქართველები დაეჯახა

ინტერტოტოს გათამაშების ჯგუფური ტურნირების 12 გამარჯვებული რომ გაირკვა, წინა ნომერში გაცნობეთ. ახლა, შაბათს და კვირას ეს 12 მეორე ეტაპის პირველ მატჩებს გამართავს. ფოთელთა ჯგუფში გამარჯვებული საფრანგეთის „გინგამი“ ესტუმრება ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზს“, სადაც ჩვენებური მიშა ჯიშკარიანი თამაშობს. სწორედ მიშას გაუტანია გასულ კვირას გადამწყვეტი გოლი გერმანიის „მიუნხენ 1860“-ის კარში და გუნდი ამ ეტაპზე გაუყვანია. დანარჩენი ხუთი წყვილი ასეთია:

ლინცერ ასკ (ავსტრია) — როტორი (რუსეთი)
ლიერსი (ბელგია) — კარლსრუე (გერმანია)
ურალმაში (რუსეთი) — სილკებორგი (დანია)
სტანდარდი (ბელგია) — ნანტი (საფრანგეთი)
სეგესტა (ხორვატია) — ერებრუ (შვედეთი)

საპასუხო მატჩები 31 ივლისს შედგება. ექვსი გამარჯვებული 6 და 20 აგვისტოს გაარკვევს იმ სამს, ვინც სექტემბერში უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმევა.

## ჩინეთი გამომარადონდა

„ბოკა ხუნიორსს“ ჩინეთში აქვს ტურნე. დღეს პეკინში პირველი თამაშია, შაბათს კი ჩენგდუში „სიშუან ქუანხინგს“ ხვდება. ნეტა ცალი თვალით ჩაგახედათ, იქ რა ამბავია. არიქა, მარადონა ჩამოვაო და ლამის მთელი ქალაქი ბილეთის შოვნას ლამობს. სტადიონი კი 40 ათასიანია. ელიან მრავალკილომეტრიან რიგებს სალაროებთან. რიგები, ცხადია, უკვე დგას. მოლარეები საქმეს სამშაბათიდან შეუდგნენ. ფასები ასეთია: 70-დან 600 იუანამდე, რაც ამერიკულად 8-დან 72-მდე დოლარს ნიშნავს. ცნობისთვის: იქაური თვიური ხელფასი საშუალოდ 600 იუანია, მაგრამ ეგ არაფერი. ჩინეთის ჩემპიონატის თამაშებზე ბილეთების ფასი 15-80 იუანის ტოლია. რიგში დგომა ცხადია დამღლელია, ამიტომ კვაჭი ჩინელები გადამყიდველების საშუალებით ბედნიერდებიან. „შავი ბაზრის“ ბედნიერება ორმაგი ფასი ჯდება. 16 წლის ბავშვმა ჰუანგ ჰონგიუნმა კი ბილეთი ტელევიქტორინაში მოიგო. აბა, თუ ვინმეა, ეგ არის მეცხრე ცაზე. რა კარგია — ჩემი კლასელები ვერ შევლენ სტადიონზე მე კი თამაშს დავესწრებიო — უხარია. ყველა მარადონაზე ლაპარაკობს. ატყდა გარჩევა, ვინ არის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, პელე თუ მარადონა. რეიტერის კორესპონდენტებს პოლიციელმა უთხრა, მარადონა ის აღარაა, მაგრამ მისი ტექნიკის არნახვა ცოდვააო.

გაზეთები კი გაგიჟდნენ. გაიხსენეს „ღმერთის ხელი“, ნარკომანობა, ჟურნალისტის დაჭრა, ის რომ იაპონია ქვეყანაში შესასვლელ ვიზას ცოცხალი თავით არ აძლევს და სხვა, მაგრამ ჩენგდუელებს ორი ყური იმად აქვთ, რომ ეს ავსიტყვაობა ერთში შეუშვან და მეორეში გაატარონ.

## ბირჰოფი სადად ახერხებს

სად იყვნენ აქამდე? ოლივერ ბირჰოფმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი რომ გაიტანა, ატყდა ერთი ამბავი: „პარმასაც“ მოუნდა და „იუვენტუსსაც“. ბირჰოფს არ ვამცირებთ, მაგრამ საინტერესოა, ის გოლები ძელს რომ მოხვედროდა შემთხვევით და ისე გასულიყო, იმ ძელის ყიდვაზეც დაიწყებდნენ გაწამაწიას? ბირჰოფი იქ არ ჰყავდათ, იტალიაში? ოლივერმა ხომ სამი სეზონი სერია B-ში, „ასკოლიში“ გაატარა, ბოლო ჩემპიონატის წინ კი „უდინეზეში“ გადავიდა და იქ თამაშობდა.

— უდინეში თავს საუცხოოდ ვგრძნობ — თქვა ბირჰოფმა — მიყვარს ეს ქალაქი, შევეგუე აქაურობას და გუნდს, სადაც გამოვჩნდი. აქ დარჩენა ჩემთვის დეკვალიფიკაციას სულ არ ნიშნავს. ბოლოსდაბოლოს, ბედნიერი კი ვარ, რომ ფინალში ორჯერ შევაგდე, მაგრამ მეგონა მწვრთნელები ზოგადად მეტს მათამაშებდნენ.

27 წლის ფეხბურთელმა ახლა „უდინეზესთან“ 2 000 წლამდე დასდო ახალი ხელშეკრულება და წელიწადში 660 ათას დოლარს მიიღებს.

## 3 მილიონი ცოტაა?

ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასი თავის კლუბს „უნივერსიდად დე ჩილეს“ ბრალს სდებს ესპანურ „ლას პალმასთან“ 3 მილიონ დოლარიანი კონტრაქტის ჩაშლაში. „უნივერსიდადის“ ხელმძღვანელებმა გასულ კვირას მართლაც ჩაშალეს მოლაპარაკება. არადა, სალასი სანტიაგოს ეროვნულ სტადიონზე უკვე გამოეთხოვა ქომაგებს და გუნდის მაისურიც დემონსტრაციულად და მოწიწებით გაიხადა.

— ვგონებ, 3 მილიონი ცოტა არ უნდა იყოს და თუ „უნივერსიდადის“ პრეზიდენტი, დოქტორი რენე ორონსკო სხვაგვარად სჯის, ეს მისი პრობლემაა, ჩემი კი არა — თქვა ტელევიზიით მარსელომ.

დოქტორი ამ ნათქვამმა ერთობ გაალიზიანა:

— თუ მარსელო მართლა ასე ფიქრობს, შემცდარა. მე ყოველთვის მისი ინტერესების დამცველი ვყავი. საქმე ის არის, რომ „ლას პალმასმა“ სალასის ყიდვა აღარ ისურვა და მის ნაცვლად არგენტინელი ფეხბურთელი შეიძინა.

## ლიგური გასამრჯელო

უეფამ გამოაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის ახალ გათამაშებაში ფულადი ჯილდოები იზრდება. ფინალისტები 3,29 მილიონ დოლარს მიიღებენ, რაც „აიაქსისა“ და „იუვენტუსის“ მიღებულზე 14 პროცენტით მეტია. ნახევარფინალში გასვლა 2,30 — 2,46 მილიონად შეფასდება. ჯგუფებში მონაწილე თითოეული 16 კლუბი, გასული წლის მსგავსად, გარანტირებულ 1,64 მილიონსაც ხომ მიიღებს და მოგებისთვის 820 ათასითაც დაჯილდოვდება (გასულ გათამაშებაში 82 ათასს უდრიდა). გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის შემოსავლიდან უეფას უკლებლივ ყველა 50-ვე წევრი 164 ათასს მიიღებს ძღვნად.

## რეჰაგელი „კაიზერს“ გაწვრთნის

ბუნდესლიგიდან გავარდნილმა „კაიზერსლაუტერნმა“ კარგი ახალი მწვრთნელი იშოვა — „ბაიერნის“ ყოფილი, ბეკენბაუერის მიერ გაძევებული თავკაცი ოტო რეჰაგელი. იგი ერხარდ კრაუცუნს შეცვლის.

მართალია, გავარდნილია, მაგრამ „კაიზერსლაუტერნი“ გერმანიის თასის მფლობელია და თასების თასზე იასპარეზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზას ქორწილზე გვერდს უმშვენებდნენ ტერი ვენეიბლზი და დევიდ სიმენი



გაზამ არც ლივერპულელ სტივ მაკმანამანს გამოაპარა ეს ამბავი



ყველამ შესვით ჩემი სიმამრის, რიჩარდის სადღეგრძელო!



კაცური სმა ტუალეტშიც არ წყდებოდა




# სიძე, შე ქველო!

ასი ათასი ადამიანის თვალწინ მოედანზე გასვლა არაფერი ყოფილა ცოლის მოყვანასთან შედარებით — ასე შეაფასა საკუთარი განცდა პოლ გესქოინმა, რომელმაც როგორც იქნა გაბედა და მისი გელფრენდი, ჩვენებურად საყვარელი, შერილი ცოლად შეირთო.

ბევრს ეგონა ეს ქორწილი არასდროს შედგებოდა, მაგრამ შედგა. თან როდის, ევროპის ჩემპიონატის ცხელი და შოკური დღეებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, 1 ივლისს. ისიც თქვეს, ქორწილი გაზას ცხოვრების უდიდესი მატჩი იყოო. ბოლო დროს, ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი ხშირად და დაჟინებით სთავაზობდა ცოლობას თავისი ოთხი თვის ვაჟის, რიგანის დედას. ქალი უარზე იდგა და მხოლოდ ორი კვირით ადრე მოტყდა. ორ კვირაში მოამზადეს ყველაფერი.

60 სტუმარი ჰყავდათ. „ჰენბერი მეინორ ოტელში", ჰერთფორდშირში რომაა, დიდი ალიაქოთი არ ყოფილა. გაზა, თავის ხელისმომკიდესთან, ძმასთან კარლთან ერთად ელოდა პატარძალს. გადაცდა წუთები, ბევრი წუთი. ჰაერი ნერვიული მოლოდინით იყო გაჟღენთილი, როდესაც გაზა უცებ მოტრიალდა და ფართოდ გაიღიმა. ის კი არა, ჩამოჯდა კიდეც. გაისმა ცნობილი მელოდია ფილმ „აჩრდილიდან" და დარბაზში მამამ პატარძალი შემოიყვანა. შერილს მისი უფროსი შვილები (წინა ქორწინებიდან) ბიანკა და მეისონი ახლდნენ თან.

მერე გაზამ და შერილმა ერთმანეთს თითზე ბეჭდები წამოაცვეს. ქალმა თქვა, ეს ბეჭედი წრიულია, მას არც თავი აქვს და არც ბოლო, ისევე როგორც ჩემს შენდამი სიყვარულს და ამის ნიშნად გჩუქნიო. გაზამ წაიბურდღუნა — ცხოვრებამ რაც უნდა მომიწყოს, ჩვენს ოჯახში სულ ბედნიერება იქნებაო.

იცის გაზამ რასაც ამბობს. იცის, რადგან პირველი წელი როდია, რაც შერილს იცნობს, უყვარს და ეჩხუბება. თუნდაც ის რად ღირდა, ქალმა ფეხმძიმობა რომ ამცნო, ამან კი იგიჟა, მამობისა შეეშინდა, გაიქცა და არაყს მიეძალა. სხვა აყალმაყალიც მრავლად ჰქონიათ. თანაც გაზა ეჭვიანია. შოტლანდიაში, სადაც ამჟამად ცხოვრობენ, ერთი მეზობლის სათვალეებიანი პატარა ბიჭი შერილს ლანდივით დასდევს და უთვალთვალებს. განა რამეს აფუჭებს?! გაზა კი ჭკუაზე არაა. პოლიციაშიც განაცხადა, გალახვაც იფიქრა, მაგრამ რა გინდა, რისთვის? გაზა დიდ კაცებზეც ეჭვიანობს. ქორწილის წინა დღეს თქვა კიდეც: თუ ღალატი გავიგე, იმ დღესვე მივატოვებო. სხვათაშორის შერილმაც იგივე განაცხადა.

ამათი ქორწილის ფოტოსურათები კი მხოლოდ ჟურნალ HELLO!-ში დაიბეჭდა. გაზამ და შერილმა ამისთვის 150 ათასი გირვანქა მიიღეს. თუმცა „სანი" რისი „სანია", პირველი არ ყოფილიყო და ქორწილის მეორე დღესვე 4 ფოტო მაინც გამოაქვეყნა. როგორ მოახერხა, კაცმა არ იცის — ყველა სტუმარს ხომ ფოტოაპარატები ცერემონიალის წინ ჩამოართვეს.



# ჩოგბურთი

## თავისას ერეკებიან

თავის დროზე მსოფლიო ჩოგბურთის თავკაცმა — ფრანგმა ფილიპ შატრიემ ბევრი იმეცადინა, ეს თამაში ოლიმპიადებზე რომ დაებრუნებინა, მაგრამ რად გინდა — ბობოლა ვაჟებმა ატლანტის შეჯიბრს ჩემი ბოიკოტი გამოუცხადეს: ათი მოწინავედან იქ სამად-სამი — აგასი, ივანიშევიჩი და რიოსი ითამაშებს, დანარჩენები კი პროფ-ტურის სარფიანი ტურნირებით შეიქცევენ თავს და ჯიბეს მეტად გაისქელებენ.

ბოლო ორ კვირაში ამ ყაიდის შეჯიბრი ორ-ორი იყო: ჯერ გშტატში (შვეიცარია) და ბოსტადში (შვედეთი), მერე კი — შტუტგარტსა და ვაშინგტონში.

**შვეიცარიაში** გაიმარჯვა 21 წლის ესპანელმა ალბერტო კოსტამ. მან ფინალში 4:6, 7:6, 6:1, 6:0 სძლია ფელიქს მანტიია (ესპანეთი). კოსტამ (6) ნახევარფინალში 3:6, 6:4, 6:3 დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი (1) და პირველად შეაბიჯა კლასიფიკაციის მოწინავე ოცეულში — იქ უკვე მე-18 ადგილზეა.

**შვედეთში** ვერ გაიმარჯვა იქაურმა ვეტერანმა სტეფან ედბერგმა (1), ვინაც დიდი სლემის ექვსგზის ჩემპიონი კია, მაგრამ შინ არასოდეს მოუგია. ედბერგი ნა-



ალბერტო კოსტა

ხევარფინალში 6:3, 7:6 დაამარცხა თანამემამულე მაგნუს გუსტაფსონმა, ვისაც მანამდე სტეფანთან ხუთივე თამაში წაეგო. გუსტაფსონმა მერე ფინალიც მოიგო — 6:1, 6:3 უკრაინელ ანდრეი მედვედევთან (5) და შვედეთის ჩემპიონობა მესამედ მოიხვეჭა.

**შტუტგარტში**, თიხაზე „მერსედესის თასი" თამაშდებოდა. ამიტომ ავსტრიელი თომას მუსტერის გარდა, აბა, სხვა ვინ გაიმარჯვებდა: ამან ფინალი 6:2, 6:2, 6:4 მოუგო კაფელნიკოვს და კარიერის 41-ე ტიტული მიითვალა. კაფელნიკოვმა ტელევიზიით უყურა ოლიმპიადის გახსნას, მაგრამ იქ წასვლასა და თამაშზე უარზეა — კიცბიუელში (ავსტრია) უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრებააო!

ვიდრე ფინალში გავიდოდა, მუსტერმა ზედიზედ ოთხი ესპანელი — გორისი, ბლანკო, კლავეტი და ბერესატეგი (6:3, 6:3) დაამარხა. ნახევარფინალში რუსმაც ესპანელს — კორეჩას მოუგო 6:3, 7:6.

**ვაშინგტონში**, „ლეგ მეისონ კლასიკზე" თავი მოეჭრათ დიდ ამერიკელებს — ანდრე აგასის (1) და ჯიმ კურიეს (3). აგასიმ მესამე წრეში 7:6, 0:6, 2:6 წააგო ავსტრალიელ პატ რაფთერთან, კურიემ კი, მეორე წრეში — სამხრეთაფრიკელ ნევილ გოდვინთან (143-ე ჩოგანია!) 4:6, 4:6. ფინალში მაიქლ ჩანგმა (აშშ, 2) 6:2, 6:4 დაამარცხა ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 4), კარიერის 25-ე ტიტული მოიპოვა და პირველად ალზევდა კლასიფიკაციის მესამე ადგილზე.

**ირაკლი ნინუა**

## გინდ გაასწარი, გინდ გამოასწარი, მიკი მაინც მოგიგებს

კვირას, დონინგთონ-პარკზე გაიმართა მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობის IX ეტაპი — გათამაშდა ბრიტანეთის დიდი პრიზი.

500 კუბური სანტიმეტრის კლასში კვლავ, წელს უკვე მეექვსე ეტაპზე, გაიმარჯვა ბოლო ორი წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ავსტრალიელმა მიკი დუენმა, ვინაც ამ დღეს საიუბილეო, კარიერის მე-100 დიდ პრიზზე ასპარეზობდა.

დუენს პოული კი ეჭირა, მაგრამ პირველსავე წრეზე ოთხმა კაცმა გაუსწრო. მერვე წრეზე ავსტრალიელმა მაინც აჯობა სტარტზე მის გვერდით მდგომ იტალიელ ლორის კაპიროსის, ფინიშზე კი 3,3 წამი მოუგო უახლოეს მდევარს, ესპანელ ალექს კრივიეს. მესამე ადგილზე იაპონელი ნორიფუმი აბე გავიდა.

ჯამში დუენი მეტად დაწინაურდა. მას 191 ქულა აქვს. კრივიეს 129 მოუგროვდა, იტალიელ ლუკა კადალორას — 113, ბრაზილიელ ალექსანდრე ბაროსს — 100, ხოლო აბეს — 94.

**ნათელა ხვადაგიანი**

# სუპერ-ვარსკვლავები







## ვეინ გრეცკი  მაიქლ ჯორდანი  შაკილ ონილი

ამათ, სამივემ, ახალი კონტრაქტები გააფორმეს. სამივენი მობურთალები არიან და მათს ლიგებში ახლა საზაფხულო არდადეგებია, მაგრამ შაკილი როდი უქმობს — ატლანტის ოლიმპიადაში მონაწილეობს.

ბოლო დროს სამივე უმუშევარი — „ფრი ეიჯენთი" იყო. ბევრი ეცადა მათ გადაბირებას. ბოლოს ჯორდანი თავის გუნდში დარჩა, გრეცკი და ონილი კი სხვაგან გადაბარგდნენ.

პირველად ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელის — ჯორდანის ამბავი გამოცხადდა ამ 12 დღის წინ. იგი მოურიგდა თავის „ჩიკაგო ბულზს", რომ გაისადაც მათთან დარჩება, ოღონდაც ჯამაგირი მინიმუმ 18 მილიონი დოლარი, ზოგი ცნობით კი 25 მილიონიც უნდა ჰქონდეს. ამას კლუბი დაყაბულდა, რაკი მოსაზრებაც კი გამოითქვა, თუკი სილვესტერ სტალონეს ერთ ფილმში 20 მილიონს უხდიან, ჯორდანს სეზონის მანძილზე გასამართ ასამდე თამაშში მეტი როგორ არ ეკუთვნისო.

მერე კალათბურთის ზემძლავრი ტანკის — შაკილის რიგი დადგა. მისი და „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის" გარიგება ზუსტად ერთი კვირის წინ მოხდა. ამის შესაძლებლობაზე და მიზეზებზე თავის დროზე ვრცლად დავწერეთ. ახლა იმის აღნიშვნა ვიკმაროთ, რომ ონილმა მიატოვა ფლორიდის „ორლანდო მეჯიქი", სადაც პროფესიული კარიერის პირველი ოთხი წელი გაატარა და 7 წლის მანძილზე შეპირებულ 123 მილიონ დოლარად კალიფორნიელთა ბანაკში გადავიდა.

ყინულის ჰოკეის ყველა დროის უპირველესი ცენტრ-ფორვარდი, კანადელი ვეინ გრეცკი ამ კალათბურთელებისგან განსხვავებით ის ველარაა, რაც ყოფილა. ამ 35 წლის ვარსკვლავს ლიგაში 837 გოლი შეუგდია და 2608 ქულა მოუგროვებია, მაგრამ ბოლო წელია, ეს უკვე მეორედ იცვლის კლუბს: ჯერ „ლოს-ანჯელეს კინგზიდან" მისურის შტატში, „სენთ-ლუის ბლუზში" გადავიდა, მაგრამ არც იქ გაჩერდა და კვირას ატლანტის ოკეანის პირას ამოჰყო თავი — „ნიუ-იორკ რეინჯერსს" სამი წლით შეეკრა 10 მილიონ დოლარად.

გრეცკიმ ასე ახსნა „ცხენოსან პოლიციელებთან" თავისი ალიანსი: ერთი, რომ ისეთ გუნდში თამაში სურვებია, პირველობას რომ უმიზნებს; მეორე, მიუზიდავს ნიუ-იორკის ხიბლს; და მესამეც, გახარებია ის, რომ ისევ თავისი ძველი პარტნიორის — მარკ მესიეს მხარდამხარ ითამაშებს.

მართალია ბებერი გრეცკი. ამისთვის ნამდვილად ღირდა ქვეყნის ერთი კიდიდან მეორეზე გადასახლება!

მაიკ ტაისონის მიერ მარტში გალახული ბრიტანელი ფრენკ ბრუნო შეიძლება ისევ დაუბრუნდეს რინგს. მისი სავარაუდო მეტოქე ყოფილა ორგანიზაციის (ვბო) ახალი მსოფლიო ჩემპიონი, ბრიტანელი ჰენრი აკინვანდე, რომელმაც ტიტული მას მერე მოიპოვა, რაც ამერიკელმა რიდიკ ბოუმ იგი ნებით დათმო. აი, პოლონელ ანჯეი გოლოტას კი, ამ ორი კვირის წინ ბოუსთან ჩხუბისას ქამარქვეშ დარტყმების გამო დისკვალიფიკაცია რომ მისცეს, თურმე ჯერაც დასდევს პოლონეთის მართლმსაჯულება, რადგან ძარცვის გამო ხუთწლიანი მუხლი ესადაგება. გოლოტას ამერიკაში შეხვედრია და დახმარებას შეპირებია პოლონეთის ახალი პრეზიდენტი ალექსანდრ კვაშნიევსკი, ვისაც კომუნისტების დროს სპორტის მინისტრად უმუშავია, ახლა კი ოლიმპიადის გახსნაზე ბრძანებულა. ძველ ფუნქციონერს კარგად სცნობია ამერიკაში გადახვეწილი ანჯეი, სეულში, 1988 წელს ბრინჯაო რომ მოიპოვა. კვაშნიევსკის ქვეყნის რადიოთი გამოსვლისას მოკრივეზე უთქვამს, კარგი ბიჭი კია, მაგრამ დროდადრო, ბოუსთან შერკინების დარად, სისულელეებს ჩადისო.

# რაგბი



## საიდან სადაო

სულ უფრო თვალსაჩინო ხდება სარაგბო სამყაროს დაყოფა და პოლარიზაცია. აქეთ ხუთი, უკაცრავად ოთხი ერი, იქეთ სამხრეთის სამეული; მერე კიდევ ევროპული ფირა, აზიის კავშირი, სამხრეთი ზღვისრეთის სამეული. ამ რეგიონულ დაჯგუფებებს წელს შეემატა წყნარი ოკეანის მონაპირე ოთხი ქვეყნის — კანადის, აშშ-ის, იაპონიისა და ჰონკონგის სამმოც, რომელმაც ახლახანს თავისი პირველი ჩემპიონატი წაამთავრა და ისე კმაყოფილი დარჩა, რომ გაისადაც გამეორებას აპირებს.

ეს შეჯიბრი ტურნეებად მოეწყო. ჯერ მეზობლები ერთმანეთს ეთამაშნენ, მერე ამერიკელებმა მოვლეს აზია, ბოლოს კი ამათაც გადასერეს წყნარი ოკეანე. კანადამ იმდენიც მოახერხა, რომ ვიდრე აზიიდან შინ დაბრუნდებოდა, ავსტრალიაშიც შეიარა და იქ ხუთი თამაში გამართა.

„ნეკერჩხლების" უპირატესობა აშკარა იყო. მათ ერთადერთი თამაში წააგეს — აშშ-თან და ჩემპიონებიც ვადამდე, ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გახდნენ. კანადამ ბოლო თამაში 13 ივლისს, ვანკუვერში გამართა იაპონიასთან და 51 (22) (6ლ, 3გ, 5ს) : 30 (18) (4ლ, 2გ, 2ს) მოუგო. მისივე დამრტყმელი ბობ როსი გახდა ტურნირის ბომბარდირი — 105 ქულა, მელელოვე კი აშშ-ის ზღვისრეთელი გარემარბი ვაეა ანიტონი აღმოჩნდა, რომელმაც 10 ლელო გაიტანა.

კანადამ 6 თამაშში 21 ქულა მოაგროვა, აშშ-მა — 15, ჰონკონგმა — 10, ხოლო იაპონიამ — 8. აზიელებმა ორ-ორი თამაში მოიგეს, აშშ-მა — სამი, კანადამ კი — ხუთი.

**სამხრეთი ზღვისრეთის** პირველობაზე სენსაცია მოხდა. იმაში არაფერი იყო გასაკვირი, რომ სამოამ 13 ივლისს შინ, აპიაში, 30 (4ლ) : 15 (3ლ) დაამარცხა ტონგა, მაგრამ 20 ივლისს ფიჯის მიერ სამოას 60:0 განადგურება ნამდვილი სასწაულია.

თამაში ფიჯის დედაქალაქ სუვას სტადიონზე გაიმართა და კუნძულისათვის საარაკოდ ბევრი — 30 ათასი მაყურებელი დაესწრო. რეპორტაჟი ზელანდიის ტელევიზიამ გადასცა, რაც გასაგები გახდება, თუკი შევნიშნავთ, რომ თამაშის მონაწილე ათი სამოელი და ექვსი ფიჯელი ამ ქვეყანაში ფრიად დონეზე თამაშობს და ორივე გუნდის მწვრთნელებიც ბებერი „ოლ ბლექსელები" — ბრაიან ვილიამსი (სამოა) და ბრედ ჯონსთონი (ფიჯი) არიან.

ფიჯმა ლელო პირველსავე წუთზე გაიტანა, ტაიმი 33:0 მოიგო, სულ კი რვა ლელო გაახერხა. სამოას სამი სალელოე შანსი მიეცა. ფიჯი მოედნის ნებისმიერი ადგილიდან, თანაც ორგანიზებულად უტევდა, რაც ამ გუნდს წინათ არა სჩვეოდა.

ფიჯი ახლა ტონგას უნდა ეწვიოს ნუკუალოფაში. ზემოთხსენებულმა ოთხმა ქვეყანამ შორს დაიჭირა საგაისო შეჯიბრში კუნძულელთა ჩართვა, რადგანაც წელს ამგვარი გეგმა უსახსრობამ ჩაშალა. თუმც გამორიცხული სულაც არ ყოფილა, რომ ოთხეულის ჩემპიონი და კუნძულთა ჩემპიონი პლეი-ოფში შეიბნენ.

ეგზომ დიდი მარცხი სამოელებს მეორე მიზეზის გამოც ეწყინათ. საქმე ისაა, რომ იმ დღეს ნაკრებში უკანასკნელად ითამაშა ლეგენდარული ბურჯმა და ექს-კაპიტანმა პიტა ფატიალოფამ, რომელიც თურმე კვლავაც მუშაობს ... პიანინოების მზიდავად და ამის გამო კიდეც ხუმრობს, ბურჯისთვის უკეთესი ხელობა ძნელი წარმოსადგენიაო.

**მეორე ეშელონის** ქვეყნები ამ ამბავში რომ არიან, ფულის გამო დავა მოსვლია სამ ბუმბერაზს — სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას. წლევანდელის დარად ამათ კიდევ მინიმუმ ცხრა წელი უნდა მართონ საზიარო შეჯიბრებები, რომელთა დაფინანსებაც მედიის მაგნატმა რუპერტ მერდოქმა იკისრა. გაისად ამ საქმეს 32 მილიონის ნაცვლად 43 უნდა მოხმარდეს, მაგრამ ამ ნამატიდან ავსტრალიას თურმე არაფერს აძლევენ, რადგანაც ამას პროვინციათა საშინაო პირველობა არა აქვს. ავსტრალიელები პარტნიორებს არაფერს უთმობენ და ცივილიზებული გზით — გარეშე არბიტრის მოხმობით აპირებენ უთანხმოების მოგვარებას.

### სტუდენტთა III მსოფლიო თასი



ნახევარფინალები. 16 ივლისი

საფრანგეთი 31 (25) (3ლ, გ, 4ს) — არგენტინა 19 (13) (ლ, გ, 4ს). ფრანგები მე-7 წუთზე 17:0 იგებდნენ

სამხრეთი აფრიკა 53 (19) (8ლ, 5გ, ს) — შოტლანდია 31 (19) (3ლ, 2გ, 4ს)

მესამე ადგილის თამაში. 19 ივლისი. არგენტინა 42 (21) (5ლ, 4გ, 3ს) — შოტლანდია 19 (16) (ლ, გ, 4ს)

ფინალი. 20 ივლისი. საფრანგეთი 38 (18) (4ლ, 3გ, 4ს) — სამხრეთი აფრიკა 20 (14) (ლ, 5ს)

ფრანგებმა ბურთაობით აჯობეს მასპინძლებს. აფრიკელები შესვენებამდე ერთი პირობა 14:7 იგებდნენ, ხოლო თამაშის დასრულებას 15 წუთი რომ აკლდა, მხოლოდ 20:24 აგებდნენ. ისევე, როგორც მთელს შეჯიბრს, ფინალსაც ერთობ აკლდა მაყურებელი — სულ რამდენიმე ათასი შეგროვდა, ისიც ქარრის თასის თამაშის (ტრანსვაალი — საზღვარი) ხათრით, სტუდენტთა ფინალის შემდეგ იქვე, იოჰანესბურგის „ელის პარკზე" რომ გაიმართა.

ფრანგმა სტუდენტებმა შეინარჩუნეს ტიტული, 1992 წელს მათმა წინამორბედებმა იტალიაში რომ მოიპოვეს, პირველი ჩემპიონები კი ზელანდიელები იყვნენ, რომლებმაც 1988 წელს საფრანგეთში გაიმარჯვეს.




თუმც ოკეანე ჰყოფთ, კანადასა და ჰონკონგს მომავალი ურთმანეთოდ მაინც ვერ წარმოუდგენიათ

**ნიკო ვეფხვაძე**

# გოლფი

## ლეიმანი ფალდოს არ შეუშინდა

გოლფის დიდი სლემის მესამე და უძველესი შეჯიბრი — ბრიტანეთის ღია პირველობა წელს 125-ედ გაიმართა. [illegible] უმასპინძლა ლანკაშირში, ლივერპულის ჩრდილოეთით, სანაპიროზე გაშენებულმა როიალ-ლიზემ-ენდ-სენთ-ენზის გოლფ-კლუბმა. ასპარეზობა 18-21 ივლისს მოეწყო და ოლიმპიადის პირველ დღეებს დაემთხვა, მაგრამ ამითი სულაც არ გაფერმკრთალებულა, რადგანაც მსოფლიო მედიამ და მეტადრე უცხოეთის, ოღონდ არა-რუსულმა ტელევიზიამ მას მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე ატლანტურ რეპორტაჟებს. ამაში „აიეტის" აბონენტებიც დაგვეთანხმებიან.

შეჯიბრს მშვენიერი დარი შეხვდა და შედეგებიც გადასარევი ალინუსხა. რამდენჯერმე გაიმეორეს გზის რეკორდი, შაბათს, მესამე წრეში კი მინესოთელმა (აშშ) თომ ლეიმანმა ნორმაზე 7-ით უკეთესი 64 დარტყმა იკმარა და რეკორდი ერთით გააუმჯობესა.

ამ წრის შემდეგ ლეიმანი გვარიანად დაწინაურდა: მინუს 15 ჰქონდა და 6 დარტყმით უგებდა მეორე ადგილზე მყოფ ინგლისელ ნიკ ფალდოს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლეიმანსა და ფალდოს ბოლო წრე მხარდამხარ უნდა გაევლოთ.




ფალდო აპრილში, ოგასთაში (ჯორჯია, აშშ), აშშ-ის საოსტატო შეჯიბრში ბოლო წრის წინ ამდენივეს აგებდა ავსტრალიელ გრეგ ნორმანთან, მაგრამ თავდაჯერებულობით იგი ისე დაჯაბნა, რომ ბოლოს თავად მოუგო. ლეიმანსაც თითქოს იგივე ელოდა, მაგრამ 37 წლის სტუმარმა ნერვები მოთოკა და თუმც ნორმაზე 2-ით უარესი შედეგი გაახერხა, ოთხი წრის ჯამში მაინც -13 აღმოაჩნდა. მეორე ადგილი გაიყვეს ამერიკელმა მარკ მაკამბერმა და სამხრეთაფრიკელმა ერნი ელსმა (-11), მოეთხეზე კი ფალდო დარჩა (-10).

ლეიმანმა, ვინაც ორი წლის წინ ქრონიკული წარუმატებლობების გამო თამაშისთვის თავის მინებება დააპირა, ჯილდოდ 350 ათასი დოლარი მიიღო, ჩაიბარა ჩემპიონის სარგო სანუკვარი შინდისფერი დოქი და მიკროფონში ერთადერთი სიტყვა თქვა: Well, ესაო და ყველაფერი კეთილად დასრულდაო. ამ მოგებით თომი მსოფლიო კლასიფიკაციაში ექვსი საფეხურით ალზევდა და მეშვიდე ადგილზე მოეწყო. პირველი კვლავინდებურად ნორმანია, მეორე — შოტლანდიელი ქოლინ მონთგომერი, ვინაც ამ შეჯიბრში ორ წრეს ვერ გასცდა, მესამე კი — ელსი.

**თენგიზ არტამონოვი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29